აპრილი-მაისი
1935 წ.
№ 7

საქართველო

AVRIL-MAI
1935
№ 7

ორგანო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა

« SAKARTUELLO » (GÉORGIE)

Organe du Parti-National-Démocrate géorgien.—Directeur Georges GVAZAWA

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

1) ქართველ ლტოლვილთა საყურადღებოთ.
2) საქართველო და საერთაშ. მდგომარეობა .˙.
3) შინაური საქმეები . . . . . . გ· გ·
4) ნიკო მარრი (ფელეტონი) პროფ. ექ. თაყაიშვილი.
5) ასოციაციის ირგვლივ . . . დარბაისელი.
6) საქმენი არა სასიქადულონი . პოლკ. ვ. ცხაკაია.
7) ქრისტეშობისთვის 19 . . პოლკ. ი. ცაგურია.
8) პავლე თუმანიშვილი . . . . . გ· გვაზავა.
9) საქართველო უწინარეს ყოვლისა შ. მაღლაყაძე.
10) საით მიდის ქართველი ერი . . . . გ. ნარი.
11) პატარა ფელეტონი . . . . . წკიპურტი.
12) კავკასიის კონფერენცია.

◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆

ქართველ ლტოლვილთა საყურადღებოდ

ჩვენ ნამდვილ წყაროებიდან გავიგეთ, რომ საფრანგეთის სათანადო სამინისტროს მოუხდენია შემდეგი განკარგულება შესახებ ქართველ ლტოლვილებისა:

«ვაცემულია განკარგულება, რომ ყოველ ადმინისტრატიულ ხასიათის ქაღალდში, რომელიც მათ მიეცემათ, ქართველ ლტოლვილებს უნდა ეწოდოს «ქართველი ლტოლვილები» და «ქართველთა ჩამომავლობანი»; არ უნდა იყოს სხვა ისეთი რამ სახელწოდება, რომელიც მათ ასე თუ ისე აკავშირებს რუს გადმოხვეწილებთან.

«თავის თავად ცხადია ქართველ ლტოლვილებს უნდა მიეცეს საბუთი «ვინაობის და მოგზაურობისა», თანახმად მათი ოფისის მიერ აღძრული შუამდგომლობისა, და ყველა იმ უფლებებითა, რაც განსაზღვრულია რუსებისათვის ე. წ. ნანსენის პასპორტში».

ამ საგანზე უფრო დაწვრილებითი ცნობებს ჩვენ მოვაწვდით ჩვენს მკითხველებს შემდეგ ნომერში.

◆

საქართველო
და
საერთაშორისო მდგომარეობა

«თავისუფალი საქართველო თავისუფალ კავკასიაში»,—აი ჩვენი მიზანი.

საქართველოს პოზიცია უფლებრივად შეურყეველია: იგი ცნობილია, როგორც დამოუკადებელი ერი, და თუ რაიმე სამართალი დამყარდა საერთაშორისო ცხოვრებაში, ის უნდა აღდგეს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. მაგრამ უფლება სხვაა, პოლიტიკა კიდევ სხვა რამ. ეს ორი შემეცნება ერთი მეორეს ხშირად არა ჰფარავს, ხშირად ერთი მეორეს ეწირება. საქართველოს მეტი უფლება აქვს, ნაკლები წონა, კავკასიას—მეტი წონა, ნაკლები უფლება. აქედან დაიბადა აუცილებლობა შეთანხმების და მჭიდრო კავშირის კავკასიის სხვა ერებთან. შარშან 14 ივლისს, ბრიუსელში, დაიდვა «კავკასიის პაქტი». მიზანია—შექმნა კავკასიის ერთი კონფედერატიული სახელმწიფოსი. პოლიტიკური წონა ასეთი ფორმაციის ეჭვის გარეშეა. იგი უსათუოდ გადასწევს ჩვენდა სასარგებლოდ საერთაშორისო სასწორს.

მე სახეში მაქვს ის ძირითადი წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს რუსეთისა და ევროპის შორის. აქ ორი ძალაა დაპირდაპირებული, ორი მიმართულება, ორი ფილოსოფია. უნდა გაიმარჯოს ან ერთმა, ან მეორემ, ორივესი არსებობა ერთი მეორის გვერდით შეუძლებელია თეორიულად, მოუხერხებელია პრაქტიკულად.

ავიღოთ რუსეთი. ბოლშევიკურმა რევოლიუციამ იგი მოსწყვიტა ევროპას და გადააგდო წარსულ საუკუნეთა სიბნელეში. ბოლშევიკებმა აღადგინეს ძველებური «მირი» თუ «ობშჩინა», გამოუცვალეს მხოლოდ სახელი, დაარქვეს კოლხოზი და სოვხოზი, და ამ საკვირველ დაწესებულებაში შერეკეს სოფლის მთელი მოსახლეობა, რომლის რიცხვი ალბად ასი მილიონზე მეტი უნდა იყოს. ამ ხალხს აყრილი აქვს ყოველი უფლება: მას არა აქვს მიწა, არა აქვს სამუშაო იარაღი, ვინაიდან ყოველნაირი ქონება გამოცხადებულია სახელმწიფოს საკუთრებად. დამონებული ხალხი იძულებულია იმუშაოს იქ, სადაც უბრძანებენ, ისე, როგორც უბრძანებენ და იმდენი, რამდენსაც უბრძანებენ. ერთი სიტყვით, ბოლშევიკებმა აღადგინეს მთელ რუსეთში ბატონ-ყმობა: ბატონია ბოლშევიკური პარტია, ყმაა მთელი ხალხი. მთელ რუსეთში მოსპობილია ყოველი თავისუფლება, განსაკუთრებით ყველაზე წმინდა და ყველაზე ძვირფასი: თავისუფლება შრომისა.

არა ნაკლებ საშინელ მდგომარეობაშია ქალაქის მუშა. ეხლანდელ რუსეთში ხშირად შეხვდებით უშველებელ ქარხნებს ან, როგორც ბოლშევიკები უწოდებენ,—გიგანტებს. მართლაც ეს გიგანტები ამოზიდულია აქა იქ. როგორც ეგვიპტის პირამიდები. ისინიც აშენებულია, როგორც ეგვიპტის პირამიდები, დამონებული ხალხის უსასყიდლო შრომით, ოფლით და ჯანით. ყოველი მუშა მიწერილია ქარხანაზე. მან უნდა იმუშაოს ისე, როგორც უბრძანებენ, მას არა აქვს ნება გამოიცვალოს ადგილი, აირჩიოს სხვა სამუშაო, ეძიოს სამართალი, არ შეუძლიან, რადგანაც აქაც თავზე ადგია იგივე უწყალო მებატონე—ბოლშევიკური ხელისუფლება, რომელსაც მიაქვს მთელი ნაყოფი მისი შრომისა. კაცობრიობას არ მოსწრებია ასეთი უსირცხვილო ყვლეფა მუშა ხალხისა... აი რა ბედნიერება მოაქვს რუსეთს კაცობრიობისათვის!

რუსეთი თავს დაესხა თავისუფალ ქვეყნებს. უკრაინას და კავკასიას, დაანგრია მათი სახელმწიფო, მიისაკუთრა მათი ტერიტორია და აუარებელი სიმდიდრე. ახადა ყოველი უფლება ხალხს და მონებად გადაქცეულთ დაადო ბეგარა ძალდატანებითი მუშაობისა. მოხდა ბევრი აჯანყება. ყველა აჯანყება ჩახრჩობილ იქმნა სისხლის მორევში... მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. რუსეთი არა ჰმალავს, რომ მისი ზრახვები გაცილებით უფრო შორს მიდის: იგი ოცნებობს დაიპყროს მთელი ევროპა და თავს მოახვიოს მას თავისი სისტემა. ამიტომ გასაგებია ის დონე მილიტარული მომზადებისა, რომელსაც ახლა მიაღწია. ამ ჟამად მისი შეიარაღებული ჯარი 1.000.000-ზე მეტია. ეს რიცხვი შეიძლება აყვანილ იქნას ომიანობის დროს ათი მილიონამდე. მისი ავიაცია პირველია დედამიწის ზურგზე. მისი ტექნიკური მომზადება არ ჩამოუვარდება ევროპისას... რაა ატტილა თუ ტამერლანი იმ საშიშროებასთან შედარებით, რომლის წინაშე სდგას მთელი ევრობა?!

ეხლა გადავხედოთ ევროპას.

ევროპის ცივილიზაცია შორიდან მოდის. ის გაგრძელებაა საბერძნეთის მეცნიერება—ხელოვნების და რომის უფლებრივი დისციპლინის, მაგრამ შორს ნუ წავალთ. საკმარისია მოვიგონოთ საფრანგეთის დიდი რევოლიუცია. მან გაუკეთა ჯამი წარსულ ევოლიუციას და მკვეთრად ჩამოასხა ის ძირითადი პრინციპები, რომელიც საფუძვლად დაედო ყოველ ეროვნულ და სოციალურ განვითარებას ევროპაში. გადაშალეთ ძირითადი კანონები საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის, ბელგიის და სხვა სახელმწიფოთა ევროპაში (გარდა, რა თქმა უნდა, რუსეთისა), და თქვენ დაინახავთ, რომ ყველგან, თითქმის ერთი და იგივე სიტყვებითა, აღიარებულია ეს პრინციპები: ადამიანი ხელშეუხებელია, სინიდისი თავისუფალი. ბინა შეუვალი, თავისუფალი შრომა და კერძო საკუთრება უზრუნველყოფილი და სხვა. იქვე გამოცხადებულია, როგორც უდიდესი პრინციპი კაცობრიობის განვითარებისა, სუვერენობა ერის და პატივისცემა ეროვნულ ნებისყოფისა... აი, რა ხიადაგზე გაიშალა ევროპის ცივილიზაცია და რამ შექმნა მისი ინტელექტუალური და ეკონომიური ხელმძღვანელობა მსოფლიოში.

რუსეთი, როგორც ცარისტული, ისე ბოლშევიკური, სწორედ წინააღმდეგია ამ პრინციპების. თავისუფლება ადამიანის, სუვერენობა ერის—ეს ხომ გაუქმებაა და დაშლა რუსეთის იმპერიისა? ამას აბა როგორ მიიღებენ რუსეთის ბოლშევიკური თუ არაბოლშევიკური პატრიოტები? რუსეთი თვითონ არა ჰმალავს, რომ ებრძვის ევროპას. მართალია, ბოლშევიკები უმატებენ, ჩვენ ვებრძვით «კაპიტალისტურ ევროპასო», მაგრამ ეს მხოლოდ დემაგოგიური ხრიკია უმეცარი მასსის თვალის ასახვევად. არასოდეს, არსად, კაპიტალი არ იყო საფუძველი არავითარი კულტურის, არავითარი ეკონომიური ორგანიზაციის. ჩვენ არა ვართ თვალდახუჭული მოთაყვანე კაპიტალისა, იმას აქვს თავისი ნაკლი, თავის ექსცესსები, მაგრამ რაც უნდა იყოს, ერთი რამ ეჭვის გარეშეა: ის, რომ თვითონ კაპიტალი არის შედეგი და ნაყოფი თავისუფალი შრომის და თავისუფალი შემოქმედების. ამიტომ საფუძველი ევროპის ცივილიზაციისა კაპიტალი კი არ არის, არამედ თავისუფლება, თავისუფლება პიროვნული და თავისუფლება ეროვნული. აი ის ნამდვილი ძალა, რომელმაც გამოიწვია ეს გონებრივი აშუქება და ეკონომიური ძლიერება მთელი ევროპის. აი, ამ ძალას ებრძვიან ბოლშევიკები, რადგანაც მისი გამარჯვება არის ლიკვიდაცია მათი სისტემისა.

სად არის გამოსავალი?

განათლებული ევროპა დიდი შიშით შეხვდა ბოლშევიკურ რევოლიუციას. ჯერ მოარტყა რუსეთს, როგორც ხოლერიან ქვეყანას, სანიტარული

---

† აკადემიკოსი ნიკო მარრი

(1864—1934)

ვისაც თუნდ ზერელედ თვალი უდევნებია კავკასიის მცოდნეობის განვითარებისათვის ამ 45 წლის განმავლობაში მხოლოდ მას შეუძლია მწვავედ იგრძნოს ის აუნაზღაურებელი დანაკლისი, რომელსაც ნიკო მარრის გადაცვალება სტოვებს. მისი შრომათა და ღვაწლის დაფასება საზოგადოთ მეცნიერებისათვის და კერძოთ საქართველოს და მთელი კავკასიის მცოდნეობისათვის რასაკვირელია საგაზეთო წერილით ოდნავათაც არ ამოიწურება. ამისთვის მთელი ტომის დაწერაც არ იკმარებს. ჩვენ მხოლოდ მოგონების სახით სულ მცირედ შევეხებით მის მომზადებას სამეცნიერო შრომისათვის და სულ მოკლედ მოვიხსენიებთ ზოგიერთ დარგებს მისი სამეცნიერო შრომისა.

ნიკო იყო შვილი ინგლისის ქვეშევრდომის, შოტლანდიელის აგრონომის იაკობ მარრისა და მისი მეორე მეუღლის, სულ ახალგაზდა გურული ქალის, ალათი შარაშიძისა, რომელიც იაკობს ღრმა მოხუცებულობაში შეურთავს. ნიკოს მამამ გააშენა ქუთაისის ცნობილი ბაღი, ფერმად წოდებული, შემდეგ ასეთივე ბაღის გაშენება დაეწყო მას ქალაქ ოზურგეთში, მაგრამ ეს ბაღი შემდეგ სულ მოსპეს, დღეს მისი კვალიც აღარ ჩანს. ნიკოს მამა იყო სხვათა შორის პირველი პიონერი, რომელმაც ჩაის ბუჩქების მოშენება შემოიღო გურიაში.

ოზურგეთში იაკობ მარრი თავის ოჯახით გრიგოლ გურიელისას ცხოვრობდა. გრიგოლი კეთილი ადამიანი იყო, კარგი ქართველი, პატრიოტი, მიმართულებით ფიზიოკრატი, ქართული ისტორიის მოყვარული და ერთობ ზომიერი ცხოვრების მიმდევარი. ამით თვალსაჩინოდ განირჩეოდა სხვა გურიელებისაგან. მან დიდი მზრუნველობა გაუწია პატარა ნიკოს, როგორც მამის სიცოცხლეში, ისე კიდევ უფრო შემდეგ. ნიკო ჩემთან იყო ოზურგეთის სასწავლებელში, მაგრამ ჩემზე უკეთ პირობებში. პირველად მით, რომ გრიგოლ გურიელთან ცხოვრობდა და არაფერი არ აკლდა, შემდეგ გრიგოლმა მას რეპეტიტორად იოსებ თაყაიშვილი დაუნიშნა. იოსებ თაყაიშვილი პირველი კაცი იყო გურიაში, რომელმაც უნივერსიტეტის კარი იხილა, ფრიად ნიჭიერი, განათლებული და ახალი ქართული პატრიოტული მიმართულების მიმდევარი. მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსიდან ჩამოვიდა და უკან აღარ დაბრუნებულა, მასწავლებლად განეწესა ოზურგეთის მაზრის სასწავლებელში. პირველი ცხოველი სიტყვა მისგან მოგვესმა დახავსებულ სასწავლებელში, ისტორიას და გეოგრაფიას გვასწავლიდა და მან შეგვაყვარა ეს საგნები. საზოგადოთ მას დიდი გავლენა ჰქონდა ყველა შეგირდებზე. მაგრამ მე მასთან მოვხვდი, როცა მეორე კლასში გადავედი, ნიკო კი თავიდანვე მას მიაბარეს და ამას რასაკვირელია კარგი გავლენა ჰქონდა მასზე. ქართული წერა-კითხვა მან შეასწავლა. ნიკო დიდის სიმპატიით იგონებდა მას, როცა იოსები გარდაიცვალა და ამბობდა, სწავლა მან შემაყვარაო. მაგრამ ნიკო სულ მცირე ხანს იყო ჩემთან ოზურგეთის სასწავლებელში, როგორ სწავლობდა ან რა იცოდა ამის თქმა არ შემიძლია. ამის გაგება მაშინ მე არ მქონდა, მახსოვს მხოლოდ, რომ ჩვენ ხშირად ერთად ვთამაშობდით გრიგოლ გურიელის ეზოში და მამა მისი ერთხელ დავინახე, მაღალი, გრძელი თეთრი წვერით და მასზე მოხუცი კაცი მე ვერ წარმომედგინა. მამის სიკვდილის შემდეგ ნიკო გრიგოლ გურიელმა ქუთაისის პანსიონში მიაღებია სახელმწიფო ხარჯზე. შემდეგ მე იგი აღარ მინახავს რამოდენიმე წელიწადს და ბოლოს ქუთაისის გიმნაზიის მეხუთე კლასში შევიყარენით ერთად, როდესაც მე პროგიმნაზიის თამთავრების შემდეგ გიმნაზიაში შევედი, იმავე წელს ქუთაისის გიმნაზიის დირექტორად ალ. სტოიანოვი დაინიშნა, რომელიც წინეთ ინსპექტორადაც ყოფილიყო იქ. ალ. სტოიანოვი დიდი და მრავალ მხრივი განათლებული კაცი იყო, კარგი ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, მის სვანეთში მოგზაურობას დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული მნიშვნელობა, მუზიკანტი (ფლეიტაზე უკრავდა), მონადირეც იყო, ამბობდენ თოფს გამფრინველე ჩიტს არ აცილებსო. მიმართულება მაშინ მას ლიბერალური ჰქონდა, მზრუნველთან ერთობ გაბედულად და თავისუფლად ეჭირა თავი. შეგირდებისათვის კარგი დირექტორი იყო. მაგრამ მასწავლებელთათვის ბურბონი. მასწავლებლები მას სტაიან-ფაშას უძახოდენ. მან ვრიად საყურადღებო პროექტი წარუდგინა მზრუნველს ქართული ენის ჯეროვანად დაყენებისა გიმნაზიაში, მაგრამ რასაკვირელია არ დაუმტკიცეს *). სტოიანოვმა მოგვცა ნება ქართული საკლასო გაზეთის გამოცემისა და მატერიალური დახმარებაც ამოგვიჩინა. ნ. მარრი თავის მოკლე ბიოგრაფიაში ამბობს, რომ გიმნაზიაში ცელქი იყო, მაგრამ ეს ალბათ მეოთხე კლასამდის იყო. მეხუთე კლასიდან ის დინჯი და კარგი შეგირდი იყო. როგორც ფრიად ნიჭიერ შეგირდს გაკვეთილების მომზადება სულ მცირე დროს ართმევდა, მაგრამ ის სხვებსავით ამით არ კმაყოფილდებოდა, ბევრს კითხულობდა და განსაკუთრებით შეუდგა ახალი ენების შესწავლას და დაუხმარებლად, თავის თავად, მშვენიერად შეისწავლა გერმანული, ინგლისური, ფრანგული და ამ ენებზე შეეძლო თავისუფლად წიგნების კითხვა. ბერძნულს და ლათინურს ხომ გიმნაზიაშიც გვასწავლიდენ. ყველა საგნებში ის დიდ ნიჭს იჩენდა, ხოლო განსაკუთრებით ენების ცოდნაში. ნიკო რედაქტორი იყო ერთხანს ქართული საკლასო გაზეთისა, სწერდა პატრიოტულ ლექსებს, სტატიებს და ახსნა განმარტებას ზოგიერთი ქართული გეოგრაფიული სახელებისა, როგორიც არის პალეასტომი, ბათომი და სხვა.

მიმართულება მაშინ ქართულ საზოგადოებაში პატრიოტული, ნაციონალურ დემოკრატიული იყო. ყოველ კვირაში იბეჭდებოდა აკაკის და სხვების ლექსები და ეს გვიტაცებდა. ლექსთა-მანია ხომ ქართველების ზედ დაყოლილი თვისებაა, და მაშინ ვერ წარმოგვედგინა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, თუ არ ლექსთა მწერალი, ვინაიდან იმ დროს ჩვენი მოღვაწენი, ქართულ საზოგადოების ხელმძღვანელნი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, გიორგი წერეთელი და სხვები სულ ლექსებს სწერდენ. ჩვენც ამ მიმართულებით ვიყავით შეპყრობილი, მაგრამ ჩვენდა სანუგეშოდ მერვე კლასში ეს უკუვაგდეთ, შევიგნეთ, რომ პოეტებათ არ ვარგივართ. ხოლო მარრის შესახებ უნდა მოგახსენოთ, ის საკმაოდ კარგ ლექსებს სწერდა და რომ განეგრძო, გვარიანი პოეტი გამოვიდოდა. მიმართულებით ის პატრიოტიზმის რადიკალი იყო. როცა ალექსანდრე II მოკვლის შემდეგ აკაკის ცნობილი ლექსი დაიბეჭდა: «დღეს მერცხალი შემოფრინდა» და სხვა, მარრმა უპასუხა, «მერცხლის ჭიკჭიკით კი არაფერი გამოვა, მედგარი ბრძოლით და იარაღით უნდა მოქმედებაო». რასაკვირელია, იმ ლექსებიდან აღარაფერი შენახულა, ხოლო გიორგი ლასხიშვილს მოჰყავს თავის მოგონებაში ერთი ოთხ სტრიქონიანი ლექსი და ამბობს მე ამ ლექსს ყოველ დღეს ვიმღეროდიო. ნიკო მგალობელიც იყო, ხოროში მონაწილეობას იღებდა, მუსიკალური ნიჭიც ჰქონდა, კლარნეტზე უკრავდა და მონაწილეობას იღებდა სტოიანოვთან ერთად გიმნაზიის ორკესტრში. ზოგჯერ ეს ორკესტრი საჯაროთაც გამოდიოდა სალამოებზე თეატრში. ერთხელ მარრმა თავის რაღაც მელოდია შეთხზა, დაასწავლა ორკესტრს და მუსიკით შეხვდა სტოიანოვს, როცა ის გიმნაზიაში მივიდა აღდგომის მოსალოცად.

ვიწრო წრეში, როცა მეშვიდე კლასში ვიყავით, ხშირად გვქონდა საუბარი, რა ჯობს, რა ეჭირვება დაბეჩავებულ საქართველოს რომ უკეთ გამოვადგეთ, ხალხს უშველოთ და სხვა. საზოგადო ახალგაზდობის ოცნება! ჩვენ იმ დასკვნაზე მივდიოდით, რომ უმეტესათ საჭიროა პედაგოგები, კარგი ლიტერატორები, საქართველოს ლიტერატურის და ისტორიის შესწავლა, ენის გამკვლევა, აგრონომები, ექიმები, ინჟინერები და სხვა. ვინაწილებდით დარგებს, ხოლო მარრს ყოველთვის ვაკუთნებდით ქართული ენის შესწავლას, ვინაიდან ენების ცოდნაში ფრიად დიდ ნიჭს იჩენდა. ისიც ამ აზრს ადგა და ეს ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ იმავე ზაფხულში ის რეპეტიტორად მიიწვია ტიტიკო ერისთავმა სოფელში, თავის ოჯახში, მისი ძმისთვის. ტიტიკო სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი იყო იმ დროს,

---

*) გრიგოლ გიორგაძის წიგნში: «საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864-1905 წ.» მთელად მოყვანილია ეს პროექტი, იხ. გვ. 238-239. ამავე წიგნში აღნიშნულია, თუ როგორ დაიცო და მფარველობა გაუწია თავის შეგირდებს, რომელნიც სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში იყვნენ ჩაბმულნი და ჟანდარმების მიერ დატუსაღებულნი (იხ. გვ. 546-547). ეს უკანასკნელი მით უფრო საყურადღებოა, რომ ბოლო დროს ხშირად გვესმოდა, სტოიანოვი გამოიცვალა, «ტუზემცებს» ცუდათ ეპყრობაო და სხვა, ეტყობა ის სიბერეშიც ისეთი დარჩენილა, როგორიც ჩვენ დროს იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორდონი». ამან ვერ გასჭრა. შემდეგ შემოიყვანა რუსეთი ერთა ლიგაში: ჰფიქრობდნენ, ხარი ხართან დააბი, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო. მაგრამ ბოლშევიკურ ხარმა არც ზნე გამოიცვალა, არც ფერი. ეხლა ჰცდილობენ შებოჭონ რუსეთი «აღმოსავლეთის პაქტის» დადებით. მაგრამ ამისთანა ქაღალდების ბურბუშელა, რა საკვირველია, რუსეთს ვერ შეიკავებს. პირიქით, ის უფრო ადვილად გზას უხსნის მას ევროპისაკენ გასაწევად... ამიტომ გამოსავალი ერთია, არა მოგონილი და ფანტასტიური, არამედ რეალური, უკვე გაკაფილი და გარკვეული ისტორიით.

იყო ოსმალეთის იმპერია: იმას ჩამოართვეს ყველა დაბყრობილი ქვეყნები და ჩააყენეს თავის კალაპოტში. იყო ავსტრო-უნგრეთის იმპერია: იმასაც ჩამოაცალეს დაბყრობილი მიწა-წყალი და მისი სახელიც კი წაჰშალეს ევროპის რუქიდან. იყო უშველებელი გერმანია: ჩამოართვეს კოლონიები და კარგად ჩამოთალეს მისი ტერიტორია... რადა მარტო რუსეთი უნდა დარჩეს ხელშეუხებელი?! რადა მას მარტო უნდა ეპყროს დაბყრობილი ქვეყნები, უკრაინა და კავკასია?! სასიცოცხლო ინტერესი ევროპისა მოითხოვს, რუსეთი ჩადგეს მის ეროვნულ კალაპოტში და არ წარმოადგენდას იმ საშინელ მილიტარულ ძალას, რომელიც სრულის განადგურებით ემუქრება მთელს ევროპას. ეს შეიძლება მხოლოდ ერთის გზით: უკრაინის და კავკასიის ერთა სუვერენობის აღდგენით. ევროპა ამ გზას ვერ აუხვევს, თუ უნდა დაიცვას მშვიდობიანობა, დაიცვას თავისი თავი, თავისუფლება და ცივილიზაცია.

როგორც ჰხედავთ, «თავისუფალი საქართველო თავისუფალ კავკასიაში» არ არის ფანტაზია. ის ჰდგას საერთაშორისო პოლიტიკის წესრიგში.

ის მალე სინამდვილედ გახდება.

⁂

შინაური საქმეები

წარმოიდგინეთ კალათა და მაში ჩაყრილი კიბორჩხალები. თითეული კიბორჩხალა ცოცხალია, მოძრაობს, იბრძვის, ჰცდილობს ამოცოცდეს კალათიდან, მაგრამ ყველანი ერთმანეთს ეჭიდებიან, ფეხებით ფეხებზე ეკიდებიან, ერთმანეთს ჰბორკავენ და ხელს უშლიან,—და რა თქმა უნდა, ვერც ერთი ვერ ამოფორთხავს ზევით.

წარმოიდგინეთ გაწვრთნილი ჯარი. ვთქვათ, ციხეა ასაღები, შემორტყმული მაღალი კედელით. ბრძანებისთანავე ერთი ჯარის კაცი მიჰრბის წინ, ჰჩერდება კედლის გვერდით, მეორე იმას ახტება მხარზე, მეორეს—მესამე, სწრაფად იქმნება ცოცხალი კიბე, რომელზედაც შეიძლება მთელი ჯარი გადაასხა ამ კედლის თუ სიმაგრის ასაღებად.

მკითხველისთვის მიმინდვია დააფასოს: ჩვენ ვის უფრო ვგავართ—კიბორჩხალებს თუ გაწვრთნილ ჯარს?!

⁂

ჩვენ გამოვიქეცით სამშობლოდან. გამოქცევა ყოველთვის კი არ არის სამარცხვინო. «სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან», ამბობს ქართული სიბრძნე. ასეთი გაცლა სრულებით არ ჰნიშნავს ხმლის ხელიდან გაგდებას, არამედ მხოლოდ ბრძოლის გადადებას. ჩვენც წამოვედით, რომ სხვაგან და სხვა პირობებში მივსცეთ ბრძოლა შემოსეულ მტერს. ბრძოლის ველი საქართველოსთვის ყოველთვის საქართველოში კი არა ჰდევს. ის ხშირად იქ არის, სადაც ჰწყდება საზოგადო საერთაშორისო საკითხები. ასეთია ჟენევა, ასეთია პოლიტიკური წრეები სხვადასხვა ქვეყნისა. რომ შესაძლებელი ყოფილიყო ამ ახალ ფრონტზე შესაფერი მუშაობა, ჩვენ უნდა გვქონოდა შესაფერი იარაღი. ეს იარაღი იყო იდეა ეროვნული სუვერენობის, მაშასადამე მოწყობა ისეთი წარმომადგენლობის, რომელიც თავის შემადგენლობით ცხადად გამოჰხატავდა ეროვნულ ნებისყოფას. ამ განძრახვით მოვაწყეთ ეროვნული ცენტრი. შევიყვანეთ იქ ყოფილი მინისტრები და დეპუტატები, შევიყვანეთ პასუხისმგებელი მეთაურები ყველა პოლიტიკური პარტიებისა. ვინ უნდა ყოფილიყო თავმჯდომარე ამისთანა ორგანიზაციის, თუ არა ბ. ნ. ჟორდანია? არასოდეს არც ერთს დამონებულ ერს არ ჰყოლია ასეთი წარმომადგენლობა საზღვარ გარედ. სამწუხაროდ ეს ბევრმა ვერ გაიგო და დღესაც ვერ გაუგია.

⁂

მართალია, ეროვნული ცენტრი სუსტია, იმას არა აქვს დიდი ღონე და გასაქანი. მაგრამ რაც გინდ იყოს, ის ფხიზლად არის და განუწყვეტლივ თვალი მიპყრობილი აქვს ერთ ჰორიზონტზე, საიდანაც მოელის ყოველ ვერაგობას და მოულოდნელ თავდასხმას. ვინ წარმოიდგენდა, რომ იმას ზურგიდან ვინმე დაეცემოდა?! ეს პოლიტიკური გაბედულობა და გამჭრიახობა გამოვიჩინეთ სწორედ ჩვენ, ქართველებმა. ჩვენ მოვუარეთ ზურგიდან ამ პატარა კარავს, აგებულს ჩვენი უფლების სადარაჯოზე, და დავუშინეთ ყველაზე უფრო მოწამლული ისრები, მოწამლული სიცრუით და ცილის წამებით. ჩვენ გავამასხარავეთ ჩვენი მოხუცებული მოღვაწენი, რომლებსაც სამშობლოში ალბად სასაფლაოც კი არ ეღირსებათ, გავამასხარავეთ მათი წარსული და მასთან ერთად სახელოვანი პერიოდიც საქართველოს ისტორიისა.. ეს არის სამშობლოს სამსახური?!

⁂

ციხე შიგნიდან ჰტყდება და, როცა იგი გატეხილია, გზა ეხსნება ყოველ მოხალისეს. აი, შემოიჭრა კიდეც ვილაც ბამატი, ალბად პირდაპირი ჩამომავალი იმ დაღესტნელ ჯიგიტებისა, რომლებიც დრო გამოშვებით თავს ესხმოდენ კახეთს, ჰხოცდნენ ქალებს და ბავშვებს და აწიოკებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. ეს ჯიგიტები ამბობდენ: «ქართველები ქრისტიანებია. უნდა ამოვხოცოთო!» ეხლანდელი ჯიგიტი კი გაიძახის: «ქართველები სოციალისტებია, უნდა ამოვწყვიტოთო!» რა იცის ამ თავგასულმა არა-მკითხემ, თუ რა როლი ითამაშა სოციალისტურმა მოძრაობამ საქართველოს ეროვნულ და ტერიტორიალურ აღდგენაში?! რა იქნებოდა საქართველოს საკითხი ევროპაში, იმას რომ არ გამოჩენოდა დამცველად და მოსარჩლედ სწორედ სოციალისტები: ჟორესი, დე-ბრუკერი, პოლ ბონკური, მარკე, ვანდერველდე, სოუკუპი და ბევრი სხვანი, რომელთა სახელს არასოდეს არ დაივიწყებს მადლიერი საქართველო?!.. ყველაფერი ეს დაღესტნელ ჯიგიტს ფეხებზე ჰკიდია! მან კარგად იცის, რომ საქართველო ხერხემალია კავკასიის კონფედერაციისა; კარგად იცის, რომ ქართველთა შორის შინაური შურის და შუღლის ატეხა—დაშლაა და მოშლა კავკასიის განმათავისუფლებელი მოძრაობისა!..

— რასა ჰბრძანებთ? მეტყვიან: ბამატის გვერდით ჰდგანან ჩვენი ლიდერები: კედია, ამირაჯიბი, ბერიძე, მუსხელიშვილი და სხვანი. ნუ თუ ეს არ იძლევა საკმარისი გარანტიას, რომ...

რა უნდა ვსთქვა? არ მინდა ვაწყენინო ამ პატივცემულ პირებს. ამიტომ ამ წერილს ვათავებ პატარა მოგონებით: ბათუმში ჰცხოვრობდა ერთი მოხუცებული გენერალი, რუსი, რომელსაც გულწრფელად უყვარდა ქართველები, მაგრამ ხშირად არა ჰზოგავდა მათ თავის სარკაზმით. ერთხელ ვისხედით ზღვისპირ ქალაქის ბულვარში. ქალაქის მებაღე ყვავილებს ჰრწყავდა და, მგონი, ცოტათი ფეხი დაუსველა გენერალს.

— ბიჭო! დაუძახა მან. აბა თუ მეტყვი: რისთვის მისცა ღმერთმა ქართველებს თავი?!

მებაღე შეჩერდა, ვერა უპასუხა-რა. მაშინ გენერალმა დაამთავრა თავისი აზრი:

— იმისთვის, რომ წვიმა ყელში არ ჩაუვიდეს!

შიძლება ეს ხუმრობა არც ისე შორს იყო სიმართლისაგან.

⁂

ჩვენ არავის არ ვეძახით ჩვენს პარტიაში. არავის არ ვიწვევთ უსათუოდ დაჰდგეს ჩვენი გვერდით. დეე ყველა დაჰრჩეს იქ, სადაც არის, ყველამ იმუშაოს ისე, როგორც უნდა. მაგრამ ერთი რამ არის ყველასათვის სავალდებულო და ყველას ერთნაირად მოეთხოვება: უნდა შეწყდეს ეს თავაშვებული ლანძღვა-გინება, რომლის კორიანტელი ჰწამლავს ატმოსფერას და აბნელებს ჩვენი ხსნის ნამდვილ ჰორიზონტებს... ნუ დავემზგავსებით კალათაში ჩაყრილ კიბორჩხალებს, ნუ ვეჭიდებით ერთმანეთს ფეხებში. დეე ის შეგვახტეს მხარზე, ვისაც მეტი აქვს ნიჭი და უნარი, ცოდნა და გამოცდილება.

მაშინ ციხის აღებაც არ აღმოჩნდება ისე ძნელი, როგორ ეს ბევრსა ჰგონია.

ბ. ბ.

ასოციაციის ირგვლივ

გვაგონდება ჩვენის ასოციაციის კრებები ამ ათი, რვა წლის წინად.

მაშინაც მრავალრიცხოვანს მის კრებებზე, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების წესდებით, მას არ აქვს პოლიტიკურ მუშაობის უფლება, პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობასა და ამავე ხასიათის მოხსენებებს დიდი ადგილი ეჭირა.

ამის წინააღმდეგ არავის არა ეთქმოდა რა, რადგან ემიგრაციის პირველ ხანებში ემიგრანტულ ცხოვრების სიმწარეს ისე მწვავედ არავინ გრძნობდა, ყველა იმედით შეჰყურებდა ახლო მომავალს და ამიტომ უფრო დიდის ნდობით და პატივისცემით ეპყრობოდნენ ერთმანეთს.

როდესაც საზოგადოების წევრთ შორის განწყობილება ასეთია, მაშინ წესდება ნაკლებად თუ ახსენდება ვისმე.

მაგრამ დრო მიდიოდა, ცხოვრება ძნელდებოდა და ნოსტალგიის გრძნობა უფრო და უფრო იზრდებოდა.

ნაღვლიანი აზრები ხშირი სტუმარი გახდა ქართველ ემიგრანტის გონებისა და მწარე გრძნობა—მისის გულისა.

წყნარ მსჯელობას, ერთმანეთის პატივისცემას, ტოლერანტობას ასეთი ატმოსფერა ნაკლებად უწყობს ხელს.

ცხადი იყო, დადგა დრო, როდესაც ასოციაცია თავის პირდაპირს, [illegible]ნობას უნდა დაბრუნებოდა და პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობაზე ხელი აეღო, რათა ემიგრანტულ წრეებში ურთიერთობა არ გამწვავებულიყო.

საუბედუროდ, მისმა ხელმძღვანელებმა ამ საჭიროებას ალღო ვერ აუღეს და ასოციაციის კრებებმა არა სასურველი ხასიათი მიიღო.

ყველას ახსოვს ამ ორის წლის წინად მომხდარი პოლიტიკურ ხასიათის ამბავი, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა და შეხლა-შემოხლა გამოიწვია ემიგრაციაში.

ეს შეხლა-შემოხლა, პარტიებს შორის გამწვავება საუკეთესო მაჩვენებელი იყო იმისა, რომ ეს ამბავი არ უნდა გამხდარიყო ასოციაციის კრების მსჯელობის საგანი, თუ ასოციაციაში მშვიდობიანობის შენახვა გვსურდა.

საუბედუროდ, მოხდა სწორედ წინააღმდეგი.

ასოციაციის ერთმა წევრმა მოითხოვა იმ ამბის გამორკვევა, მისის როლის გამოძიება და მსჯავრის დადება.

მთხოვნელისაგან საკითხის ასე დაყენება სავსებით გასაგებია; მაგრამ რაც ნაკლებად გასაგები იყო, ეს—ასოციაციის, ან უფრო, მის ხელმძღვანელთა მოქმედება.

საზოგადო კრებამ აირჩია საგანგებო კომისია ხსენებულ ამბის გამოსარკვევად.

თუ არა ვსცდებით, აგერ მესამეჯერ თუ მეოთხეჯერაა, რომ ასოციაციის საზოგადო კრების წესრიგში ისმება კომისიის მოხსენება ამ საქმის გამო.

კომისია უხერხულად გრძნობს, ვგონებთ, თავს და ამიტომ უნდა იყოს, რომ მაინცა-და მაინც არ ჩქარობს თავის გამოძიების მოხსენებას.

ეს თუ ასეა, კომისიის ასეთი განწყობილება სრულებით ბუნებრივად და პატივსადებად მიგვაჩნია.

მართლადაც, გავიხსენოთ მთხოვნელის მოსაზრება გამოძიების საჭიროების დასასაბუთებლად.

თქვენის საზოგადოების წევრი ვარო, სთქვა მან. გამოიძიეთ, რამდენად მართალია ჩემს შესახებ დაყრილი ხმა და, ან გამომრიცხეთ თქვენის წრიდან, თუ ეს ხმა მართალი გამოდგა, ან უდანაშაულოდ მიცანით, თუ ცრუ აღმოჩნდა.

სრულებით ნათელი იყო, რა პასუხიც უნდა გაეცა ასოციაციის ყრილობას და უმალ მის გამგეობას ასეთ წინადადებისათვის.

მათ უნდა გაეცხადებინათ:

> ჩვენს ასოციაციას, როგორც საზოგადოდ ამ სახის ყველა საზოგადოებას, არ აქვს არავითარი უფლება, გამომძიებლის და მეტადრე მოსამართლის, როლი მიითვისოს. მისი მოქმედება განსაზღვრულია წესდებაში აღნიშნულ საქმიანობით. საზოგადო მოვლენათა გამოძიება და გასამართლება ვისიმე ამ საქმიანობის ფარგალში არ შედის და ამიტომ საზოგადო კრებისა და გამგეობის კომპეტენციის გარეშე არის თქვენი მოსაზრება, რომ ასოციაცია დაინტერესებული უნდა იყოს იცოდეს, რამდენად მართალია თქვენს შესახებ გავრცელებული ხმა. ნებას გვაძლევს არა ჩვენს თავზე მივიღოთ გამოძიება, არამედ როლები შევსცვალოთ და მის მაგიერ, რომ თქვენ გვაძლევდეთ წინადადებას, ჩვენ მოგცეთ ასეთი წინადადება:

მოთხრობებსაც სწერდა. მაგრამ მკურნალობით დიდათ გატაცებული იყო, მისმა საუბარმა ისე იმოქმედა მარრზე, რომ როდესაც დაბრუნდა გიმნაზიაში ჩვენ გამოგვიცხადა, მე სამკურნალო ფაკულტეტზე უნდა შევიდეო. ყველაზე უფრო ჩვენ ხალხს ეს ესაჭიროებაო. ჩვენ ვერ დავაჯერეთ, რომ ეს მისი საქმე არ არის. ამისთვის სხვებიც გამოდგებიან და მისი ნიჭი ყველაზე უფრო ქართული ენის შესწავლაში მოიტანს შედეგებს. მე და ის თითქმის წავიჩხუბეთ. ბოლოს მანც ხელი აიღო ამ განზრახვაზე. მაგრამ ეხლა სხვა აზრებმა, სხვა იდეებმა გაიტაცა. იმ დროს ზაქარია ჭიჭინაძე ხშირად ბეჭდავდა ქართულ ბროშიურებს და ავრცელებდა ხალხში. მართლა დიდს ენერგიას იჩენდა წიგნების გავრცელებაში. მარრს რასაკვირელია ეს მოსწონდა და ერთს დღეს დასტოვა პანსიონი და გაიპარა ტფილისში რომ ზაქარიას მიეშველოს წიგნების შედგენაში და გამოცემაში. ჩვენთვის არაფერი არ უთქვამს, ხოლო მის პანსიონის ახლობელ ამხანაგს ნ. გოგიტიძეს გაანდო. ცოტა ხანს ზაქარიასთან იყო, მას ეხმარებოდა წიგნების ბეჭდვაში, კორრექტურაში *). მაგრამ სახსარი ცხოვრებისა არც ზაქარიას ჰქონდა და არც მარრს. მერმე შეეცადა ბოტანიკურ ბაღში მოწყობილიყო სამსახურში, მაგრამ არ მოხერხდა. მერმე უნდოდა ბიბლიოთეკარი გამხდარიყო, მოსწერა ნ. გოგიტიძეს და სტოიანოვმა გაუგზავნა რეკომენდაციის წერილი. მაგრამ ვერც ამით გახდა რასმეს. მშიერ მწყურვალმა გადასწყვიტა უკან დაბრუნება, შეეკითხა ნ. გოგიტიძეს, მიმიღებენ უკან რომ დავბრუნდე თუ არაო. უნდა მოგახსენოთ, სტოიანოვს დიდათ ეწყინა მარრის ასეთი საქციელი და დაავალა თავის ინსპექტორს სტარიცკის ცნობები და ამბვები შეეკრიბა გაქცეული შეგირდის შესახებ და მისთვის მოეხსენებია. ნ. გოგიტიძემ ჯერ არაფერი გაუმხილა სტარიცკის, მაგრამ როცა დაინახა, რომ სტოიანოვი ფრიად კეთილი განწყობილებით არის აღჭურვილი მარრისადმი, ყველაფერი გააგებია, და მისწერა მარრს, რომ დაუბრკოლებლად მიგიღებენ უკან, თუ მალე დაბრუნდებიო. ნიკო დაბრუნდა გამხდარი, გაყვითლებული, მოწყენილი და ჩაღლეტილი. სტოიანოვმა განკარგულება გასცა, არავის არაფერი საყვედური არ ეთქვა მარრისათვის და არც რაიმე ამბავი ეკითხა, სად იყო, რას აკეთებდა, ან რატომ გაიპარა, ისე მიეღოთ, თითქოს ის პანსიონიდან არც კი წასულიყოს. მარრი მერმე დაწყნარდა და თავისებურათ ენერგიულად შეუდგა მაცადინეობას. ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, მაგრამ, როგორც მაშინ ვამბობდით მის შესახებ, ერთხელ კიდევ «შეუპრინტა». როდესაც სიმწიფის ატტესტატის გამოცდების დრო მოვიდა, ნიკომ გამოგვიცხადა, ეგზამენებზე არ წავსდგებიო, ერთი წელიწადი კიდევ უნდა დავრჩე გიმნაზიაში, რომ ძველი ენები უკეთ შევისწავლო, თორემ უნივერსიტეტში ამისათვის დრო არ მექნებაო. ძველი ენები ისე როგორც სხვა საგნები ყველა ჩვენსე უკეთ იცოდა. კანდიდატათ რიცხებოდა ოქროს მედლის მისაღებად და რასაკვირელია მიიღებდა, რომ ეგზამენები დაეჭირა, მაგრამ არ მოისურვა. ეს რომ სტოიანოვმა გაიგო, დამიბარა (მე სტოიანოვს კარგათ მივაჩნდი) და მითხრა, დააჯერეთ როგორმე მარრი, ნუ იქს ამ სისულელესო. მე ნება არა მაქვს მეორე წელიწადს დავსტოვო პანსიონში, ადგილი სხვას უნდა დაუთმოს. კანდიდატები ბევრიაო, და შემდეგ კიდევ ვის გაუგონია, შეგირდს გიმნაზიის გათავება შეეძლოს, იგიც ოქროს მედლით, განგებ არ ათავებდესო. ბევრი ველაპარაკეთ, მაგრამ თავის გადაწყვეტილებაზე უარი ვერ ვათქმიეთ. მიატოვა გიმნაზია და წავიდა გურიაში. სტოიანოვმა აქაც თავის კაიკაცობა გამოიჩინა, მანვე იშუამდგომლა მზრუნველთან და დასტოვეს კიდევ პანსიონში ერთს წელიწადს. ასეთი იყო ალ. სტოიანოვი შეგირდებისათვის, ამას არც ერთი სხვა დირექტორი არ იზამდა. თუ შეამჩნევდა, რომ შეგირდი ნიჭიერია და საიმედო მოქალაქე გამოვა, ყველაფერს აპატიებდა. მეტადრე თუ ჩანადენს ცუდი ზნეობრივი ხასიათი არ ჰქონდა.

გაათავა რა მეორე წელს გიმნაზია ოქროს მედლით სტიპენდია მიიღო, ნივთიერად კიდევ გრიგოლ გურიელი დაეხმარა, მოვიდა პეტერბურგში და შევიდა აღმოსავლეთის ფაკულტეტზე. ქუთაისში მეორე წელს დარჩენის დროს გარდა ძველი ენების საფუძვლიანად შესწავლისა თათრული ენაც შეესწავლა. აღმოსავლეთის ფაკულტეტი იმ დროს სამ განყოფილებისაგან შესდგებოდა, ქართულ სომხურის, არაბულ-სპარსულ-თურქულის და სემიურისა, რომელშიაც ქალდეური ენაკილოკავებიც შედიოდა. მარრი სამივე განყოფილებაზე სწავლულობდა ყველა ენებს და საგნებს, რომელთაც იქ ასწავლიდენ. მარრი არა თუ თვითონ ბეჯითად მაცადინობდა, თვით პროფესორებიდან მოითხოვდა, სემინარიულად მუშაობის მაგიერ ლექციები ეკითხათ. ქართულ-სომხურ განყოფილებაზე მაგალითად აიღებდენ ტექსტებს, დაბადებისა თუ სხვას, იმას თარგმნიდენ და თარგმნის დროს გრამატიკულ ფორმებს უხსნიდენ. ჩვენ ალ. ცაგარელი ვაიძულეთ ქართული ლიტერატურის ლექციები ეკითხა. პატკანოვს მარრმა უთხრა, დაბადების ტექსტს ჩვენ უთქვენოთაც მოვერევით, საქმე ის არის, სომხური ისტორიის ლექციები წაგვიკითხოთო. თავის გასამართლებლად, პატკანოვმა უთხრა, რა ისტორია უნდა წაგიკითხოთ, სომხებს ისტორია არა აქვთ, სომხებს ნაწყვეტები აქვთ ზოგიერთ ხანაზე, ეს რა ისტორია არისო! ამას რასაკვირელია თავის გასამართლებად ამბობდა, თორემ ისე სომხის ისტორიკები თავის გამოცემებში ცამდის აყავდა. ყველაზე უფრო მარრს არაბისტი როზენი მოსწონდა, ვინაიდან ის დიდის ყურადღებით კითხულობდა ლექციებს, ბევრს ამუშავებდა სტუდენტებს და სასტიკი მომთხოვი იყო მაცადინობისა, მარრისთვისაც ეს იყო სასურველი. საზოგადოთ როზენს მარრზე დიდი გავლენა ჰქონდა.

მეორე წელს აღმოსავლეთის ფაკულტეტზე ყოფნისა, როცა არაბული ენა შეისწავლა და მისი ნორმები ქართულს შეუდარა, მარრი იმ დასკვნაზე მივიდა, რომ ქართული ენა სემიურ ენათა ჯგუფს ეკუთვნის. ამ პრობლემამ ერთობ გაიტაცა, როზენს გააცნო თავის დებულებები, მაგრამ როზენი პირველად დიდის უარყოფით შეხვდა. ცაგარელი კიდევ უფრო მეტად. მარრი ამბობს, რომ შემდეგ, როცა ქართული ზმნების ძირითადი ტაბულები დაამზადა და მას დაურთო წინასწარი ცნობანი ქართული ენის ნათესაობისა სემიურ ენებთან და ეს სტოიატია სამი დღის წინ გადაცვალებისა როზენს წაუკითხა. მან დამეთანხმაო. როდესაც თავის დებულებები ჩვენ ქართველ სტუდენტებს გაგვაცნო, ჩვენ წასახალისებლად მოუწონეთ, რომ ჩაბმულიყო ამგვარ კვლევაძიებაში, მაგრამ, მართალი უნდა ვთქვათ, არაფრად მოგვწონებია, რომ ურიებს დაგვანათესავა. ჩვენ არიელობა გვინდოდა. საქმე ის არის, რომ არიელობა მაშინ დიდ მოდაში იყო. კაცობრიობაში ცივილიზაციის შემქნელად არიელები გამოყავდათ, ეს რჩეული, არისტოკრატიული, ნიჭიერი, მხნე და მამაცი რასა იყო მაშინდელის შეხედულობით, სხვები კი მეორე ხარისხოვანად მიაჩნდათ, ისე როგორც ეხლა ჰიტლერი აღიარებს. სომხური ენა არიულად იყო ცნობილი და ამით სომხებს დიდათ მოჰქონდათ თავი. სულ ხუმრობით არ იყო ნათქვამი ის, რაც ერთხელ ჩემთან ნიკო მარრს უთხრა მშაკის რედაქტორმა კალანთარმა. მოგეხსენებათ, რომ შემდეგ კვლევა ძიებაში ნიკომ სულ შეიცვალა აზრი. ქართული ენა თუმცა მონათესავეა სემიური ენისა. მაგრამ სემიურ ჯგუფს არ ეკუთვნის, არამედ ცალკე ჯგუფს შეადგენს, ისე როგორც ქამიტური და ამ ჯგუფს იაფეტური ჯგუფი უწოდა. სომხებსაც სანახევროდ ჩამოართვა არიელობა. წინანდელი მისი თეორიით, როდესაც არიელი სომხები მოვიდენ სომხეთში, მათ იქ იაფეტელები დახვდათ, მათ შეერიენ და ეხლანდელი სომხები ნარევი ტომი არის, ისე როგორც მათი ენა შერეულს ენას წარმოადგენს, იაფეტურს და არიულს, ხოლო იაფეტური სჭარბობსო. ეს რასაკვირელია სომხებს მაინდამაინც არ მოსწონდათ. საუბარი რაღაც გახრწნილობაზე და ავაზაკობაზე იყო რომელიღაც სომხის კუთხიდან მოწერილის ცნობების გამო. მარმა თქვა, ეს საკვირელი ამბავიაო. კალანთარმა უთხრა: იცით, ნიკო იაკობის ძევ, ჩვენ სომხებს არა გვიშავდა რა, წინეთ უკეთესი ზნეობისა ვიყავით, მაგრამ ეგ იაფეტელები რომ შემოგვირიეთ, იმან გაგვაფუჭაო! თავის პირველ აღმოჩენას, მაშინდელის მისი შეხედულობით, ნიკომ პატარა წერილი უძღვნა გაზეთ «ივერიაში» (1888 წ. № 86) სათაურით: «ბუნება და თვისება ქართლის ენისა». აქედან იწყება მისი მეცნიერული მუშაობა.

მე ერთის წლით ადრე წამოვედი პეტერბურგიდან ტფილისში. წამოსვლის ხანს თათბირში მან გამიცხადა, მისი პეტერბურგში დარჩენა უნივერსიტეტის გათავების შემდეგ შეუძლებელია, ვინაიდან ქართულ განყოფილებაზე ადგილი არ არის, რომც იყოს ა. ცაგარელი მას არ დასტოვებს. და სხვაზე ის არ დარჩება. ყოველ შემთხვევაში მას ურჩევნია ტფილისში ჩამოვიდეს და იქ მოჰკიდოს ხელი ან გაზეთის გამოცემას, ან სხვა რასმეს, რაც შესაძლებელი იქნება, ამიტომ მე დამავალა შემეტყო ადგილობრივი გარემოება და მისთვის დაწვრილებით მეცნობებინა, როდესაც მე ცოტად თუ ბევრად გავეცანი ჩვენს ქართულ საზოგადოებრივ გარემოებას და ჩვენ დაწესებულებებს, სრულის შეგნებით არ ურჩევდი მას ტფილისში ჩამოსვლას. აქ რასაკვირელია სახეში მქონდა მისი ხასიათი და თანაც რწმენა, რომ მისი საქმე, მისი მოწოდება უნივერსიტეტი და მეცნიერება იყო, მით უმეტეს რომ უკვე ასეთი მუშაობა დაწყებული ჰქონდა და მაშინ კიდევ ის ამზადებდა სამედალოთ გამოკვლევას ძველი ქართული რომანების შესახებ, ამირან-დარეჯანიანისა და ვისრამიანისა. ჩემი წამოსვლის შემდეგ მისი კომფლიქტი პროფ. ა. ცაგარელთან უფრო გამწვავებულიყო. საკონკურსო თხუზულებისთვის მან მარრს მხოლოდ ვერცხლის მედალი მიუსაჯა. უნივერსიტეტში დატოვებისათვის შუამდგომლობა არ აღძრა, ვერც იშვამდგომლებდა, ვინაიდგან ქართულ განყოფილებაზე ადგილი არ იყო, თვით ცაგარელი თუმცა დოქტორი იყო მეცნიერების, მაგრამ ექსტრა-ორდინარულ პროფესორად ითვლებოდა, ორდინარული პროფესორი კ. პატკანოვი იყო, როცა ის გაათავებდა სამსახურს, ცაგარელი მაშინ მიიღებდა ორდინარულ პროფესორობას. და თავისუფალი იქნებოდა სომხური ენის და ლიტერატურის დოცენტობა. ამიტომ მარრს კ. პატკანოვმა მისცა წინადადება, რომ მომზადებულიყო სომხური ენის და ლიტერატურისათვის. მარრი უარზე იდგა. მე მომწერა, შენ ხომ იციო, ჩემი მიზანი ქართული ენის გამოკვლევა არის და მე სომხურ ენას მაძლევენო. მე ვურჩევდი, უსათუოთ მიელო წინადადება და ვამტკიცებდი, რომ ამით ქართულ ენას არავითარი ზარალი არ მოუვა, მით უმეტეს, რომ როდესაც პროფესორობას მიიღებს, შემდეგ თავისუფალია, რა დარგშიც უნდა, იმ დარგში იმუშავებს. მაგალითებიც მოვუყვანე. მარრი კიდევ უარზე იყო. გარემოებაც ხელს უშლიდა, როცა პეტერბურგის სომხის კოლონიამ გაიგო, რომ კ. პატკანოვი ქართველს სტოვებს სომხური ენის პროფესორად, ერთი აურ ზაური შექმნა. ეს სომხური საქმის ღალატად დასახა და უნივერსიტეტის მთავრობასთან და განათლების მინისტრთან დელე-

---

*) როცა მარრი პროფესორად გახდა და პირველ ხანაში სომხური კულტურის გავლენას ქართულზე გადაჭარბებულად სახავდა, ზაქარია ჭიჭინაძემ თავმომწონედ მითხრა: მარრი როგორ ბედავს ამას! ის ჩემი შეგირდია, მე იმას ვაყურებიებ სეირსო!

რაკი თვითონ თქვენ უკავშირებთ თქვენის წევრად დარჩენის საკითხს ამ ხმების გამოძიებას, კეთილ ინებეთ და მიჰმართეთ საქმის გამოსაძიებლად ერთ ერთ არსებულ კანონიერ საშუალებას,—სახელმწიფო სასამართლოს, სამედიატორო სამართალს ან პრესას!

ასოციაცია კი, უფლების საკითხიც რომ არ იყოს, ვერ გამოიძიებს ამგვარ საქმეს, რადგან არც საჭირო აპარატი აქვს ამისათვის, არც საჭირო ბძანებების და განკარგულებათა მოხდენის უფლება.

რომელისმე აღნიშნულ საშუალებისთვის მიმართვით თქვენც უკეთ მიაღწევთ თქვენს წადილს, და არც ასოციაცია გახდება პარტიულ ბრძოლის ასპარეზად.

ასეთი უნდა ჰყოფილიყო ასოციაციის პასუხი.

ეს არ მოხდა თავის დროს, მაგრამ ჯერ კიდევ არის დრო საქმე გამოსწორდეს და მართებული მიმდინარეობა მიიღოს,—დარღვეული წესის აღდგენა არადროს არის დაგვიანებული.

საკმარისია, უახლოესს საზოგადო კრებაზე თავმჯდომარემ განაცხადოს,—ამის მას უფლებაც აქვს და მოვალეც არის ეს ქნას ex-officio,—მე ვხსნი ამ კითხვას, რადგან მისი გამორკვევა და მეტადრე მსჯავრის გამოტანა ასოციაციის უფლებას გადადის და წესდებას არღვევს.

ფარნაოსელი.

საქმენი არა სასიქადულონი

თუ როდესმე ყოფილა საოცარი მოქმედება პოლიტიკური პიროვნებისა, ჩემის ფიქრით, ყველაზე უფრო საკვირველია საქციელი ვენიზელოსისა. მთელი სიცოცხლე იბრძოლა თავის სამშობლოს გასაბედნიერებლად, მისი საზღვრების გასაფართოებლად, ძველი დიდი ბიზანტიის დონეზედ მისი ახალი ბერძნეთის ასაყვანად, მისი სამშობლოსათვის ყველა ერების სიმპატიის მოსახვეჭად, მოკლედ ვთქვათ, დასდო უამრავი ამაგი იმისთვის, რომ საბოლოოდ მთელი მისი ნაშრომი ნიაღვარისთვის ჩაებარებინა.

დემოკრატიულ წესწყობილებით წარტყვენილმა, მან გამოუცხადა უზავო ომი საბერძნეთის ტახტს, მიუტანა მას შეუპოვარი იერიშები, რომელნიც დამთავრდნენ ტახტის წაქცევითა. პირველი ნაწილი მისი პროგრამმისა განხორციელდა.

დიდი ხნით ჰქონდა ვენიზელოსს თითი გაშვერილი ანატოლიისკენ და იქით იწვევდა საბერძნეთს «დიდი საბერძნეთის» შესაქმნელად. დიპლომატიურ მსოფლიოში ვენიზელოსს ჰქონდა დიდი წონა, სიტყვა უჭრიდა და დიპლომატების მიერ წაქეზებულმა გაბედული ნაბიჯი გადადგა ანატოლიაში, მით უფრო რომ ოსმალეთს კბილები ამოაძრეს, და ვენიზელოსი ჰფიქრობდა, რომ ოსმალეთი კბენას ვერ შესძლებდა. მაგრამ აქ კი ვენიზელოსს ანგარიშები გაუმტყუნდა. ოსმალეთმა შესძლო უკანასკნელი ძალების შეკრება და სასტიკად დაამარცხა ბერძნეთი. ლამის სამუდამოდ დაუკარგა საბერძნეთს მადა მცირე აზიისკენ ცქერისა. საბერძნეთს ჰქონდა საბუთი ვენიზელოსისთვის წყრომა და რისხვა მიეხალა, მაგრამ ერმა მაინც მის დაუცხრომელ მებრძოლს პატივი არ აჰყარა იმ ხანებში. მაგრამ ყველაფერი ცვალებადია ამ წუთისოფელში. 1933 წლის არჩევანზე ვენიზელოსმა, საბერძნეთის პრეზიდენტმა, მიიღო შავი კენჭები. ამ გარემოებამ სრულებით გამოამჟღავნა მისი სული. პრეზიდენტობას ჩამოშორებულმა მან თან წაიღო ღვარძლი და ფიქრი შურისძიებისა. დგება კითხვა: რისთვის იბრძოდა ის? სახელის მოსახვეჭად, თუ მისი სამშობლოსათვის კეთილდღეობის საძიებლად?

ხელისუფლებიდან განყენებულმა თან წაიღო ღვარძლი, ღვარძლმა ორი მშვენიერი ყვავილი გამოისხა: ჯარის აჯანყება და კუნძული კრეტის დამოუკიდებლობის დეკლარაცია.

არც ერთი შეგნებული პოლიტიკოსი-პატრიოტი არ მიმართავს ჯარს მის მოწინააღმდეგე პარტიასთან ანგარიშის გასასწორებლად, ვინაიდგან ასეთი ცდა ხრწნის ჯარს და ადვილი შესაძლებელია, რომ ვერც ერთი მთავრობა ვერ გამაგრდეს წელში და სინამდვილით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ასეთი ჯარი ვერც გარეშე მტრისაგან დაიცავს ერს. ჯარის ჩათრევა პოლიტიკაში არის უაღრესი სიავე ერისადმი, რომელიც ვერ იპოვნის არც ერის და არც ისტორიის წინაშე შენდობას და გამართლებას.

ჯარი უდიდესი სკოლაა, სკოლა ზნეობრივი ამაღლების და ხასიათის განმტკიცებისა. იქ ყველა თანასწორია—მდიდარი და ღარიბი, თავადი და გლეხი, ერი და ბერი. ყველანი ერთნაირად ჰცხოვრობენ, ყველას ადევს ერთი დისციპლინა, ყველას წინ ეხატება ერთი სამსახური და ყველას ერთნაირად ევალება ბრძოლა და თავის განწირვა იმ დიადი მთლიანობის განსამტკიცებლად, რომელსაც ჰქვიან ერი—სახელმწიფო. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ ამაზე უფრო წმინდა, უფრო მაღალი იდეალი?! ჯარის ჩათრევა პარტიულ ბრძოლაში აბნელებს ამ იდეალს. ის დანაშაულია ერის წინაშე.

ვენიზელოსმა კრიტიც გამოაცხადა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ესეც დაგლეჯაა და დაქუცმაცება ტერიტორიალურ მთლიანობისა, მაშასადამე ისეთივე დანაშაული ერის და სახელმწიფოს წინაშე.

სამწუხაროა, რომ ამ დიდ პატრიოტმა ამოდენა შეცდომა ჩაიდინა, ამოდენა «საქმენი არა სასიქადულონი».

მაგრამ მისი მაგალითი საკმაო გაკვეთილებს მაინც იძლევა სხვებისათვის.

პოლკ. ვ. ცნაკაია.
თავმჯდომარე საქართველოს
ყოფილ მეომართა კავშირისა.

ქრისტეშობისთვის 19

არა ზღაპარი, არამედ ნამდვილი ამბავი მსურს მოგითხრათ, ამბავი, შესაძლებელია, აუხსნელი, მაგრამ თვით ჩემ ცხოვრებიდგან ამოღებული.

ბუნებაში არსებობს მოვლენები, რომელსაც ვერ მისწვდება და ვერ შეიცნობს ვერც ადამიანის გონება და ვერც მისი ნება. შესაძლებელია—აქ თამაშობს როლს მეტაფიზიკური მიზეზობრიობის რაიმე კანონი, საიდუმლოებით მოცული ადამიანისათვის. მაგრამ სული მორწმუნე, ჩემს სხეულში რომ სდგას, ყველაფერს აწერს ერთ არსებას, დაარქმევთ მას კანონს, დასაბამს, თვით-მიზეზს თუ სხვა რამეს.

სწორედ საკვირველი ამბები გადამხდომია თავს რამოდენიმეხელ ერთსა და იმავე რიცხვს, ქრისტეშობისთვის 19-ს და ჩემი ცხოვრება კი არასოდეს დეს ყოფილა ბურჟუაზიულად ბრტყელი და მშვიდი. ამ ამბებს იგონებს დღეს ეს კალამი.

1916 წელი. ქრისტეშობისთვის სუსხიან დღეებში, პოლკ. ლ. ბიჩერახოვის პარტიზანული რაზმი თათრების ზურგს უკან ამზადებს დოვლეთ-აბადინდოელ სპაებზე თავდასხმას. აქვე არის პარტიზანთა მეთაურის თანაშემწე პოლკოვნიკი ყიფიანი. 19 ქრისტეშობისთვის გარიჟრაჟზე, ცხენოსანნი უახლოვდებიან დოვლეთ-აბადის სიმაღლეებს. იჩაღება ბრძოლა. პოლკ. ბიჩერახოვი თავისკენ იხმობს ჩემს ასეულს და მიბრძანებს ჩემს განკარგულებაში მყოფ იარაღებით ცეცხლი დავუშინო მტერს, რათა რაზმს ადგილის აღება გავუადვილო. ვფიქრობ—ცხენოსნები უკვე ქალაქში არიან და მეც, თუ კი სიკვდილია—იარაღის წინ დავეცე, ვიჭრები ჩემი ცხენით დოვლეთ-აბადის აღმოსავლეთ ნაწილში. გამოვდივარ ბაღდადის დიდ გზაზე, ჩემს წინ ბუნდოვანად მოსჩანს ცხენოსანი რაზმი, მგონია—პარტიზანები არიან და ვვარდები კი ორ ცეცხლს შუა. წინ ექვსი ოსმალური იარაღი გორაკს ამოფარებული ცეცხლის ნადიმით მიმასპინძლდება, ზურგს უკან კი პოლკ. კონსტ. ულანი, რომელსაც დოვლეთ-აბედის დასავლეთი ნაწილი ეკავა, ნაკლებს არ მაყრის. მთელი პარტიზანული რაზმის თვალწინ იმართება უთანასწორო ბრძოლა. მე დაჭრილი ვარ, მაგრამ თათრები ჩემს შეცდომას რაღაც მუხანათურ გეგმას აწერენ, სასწრაფოდ სტოვებენ ქალაქს და უკან იხევენ... დოვლეთ-აბედი აღებულია. მეთაური სიხარულით მეხვევა და მკოცნის. ამ გამარჯვებისათვის სათანადო ინსტანცია მაჯილდოებს დიდხანს არ გაცემულ თეთრი ჯვრით.

⁂

სრულ ორ წელმა გაიარა. ბრძოლაა სომხეთთან. 1918 წლის ქრისტეშობისთვის 19-ს, სადახლოსთან, სოფ. შამაიში ვართ ბედის ამარა მიტოვებული ქართულ ცხენოსან ჯარის დივიზიის მიერ, რომელსაც წინამძღოლობდა დ. შალიკაშვილი. სომხეთის ფეხოსან ნაწილზე ცხენოსანთა ორ შეტევის შემდგომ, სახელოვანი სამთო ცხენოსანი ბატარეია, რომლის წინამძღოლობის პატივი მქონდა, ხმლით იკაფავს გზას და იხსნის შვიდ იარაღს სამარცხვინო ტყვეობისაგან. სამნი ძმანი მოხალისენი თთ. თარხან-მოურავები, პორ. კიზირიას მეთაურობით, რომელსაც თვით ხუთი ტყვია და ჭრილობა ჰქონდა მიღებული, ბრძოლის დროს მომვარდენ საშველად და მით მიხსნეს უეჭველ სიკვდილისაგან. იმ საღამოს, თუ არა ეს სახელოვანი მეომრები, მტრის შტიკით მიყენებული ორი ჭრილობა საბედისწერო უნდა გამხდარიყო ჩემთვის.

დიახაც რომ იბრძოდენ სახელოვნად. შეტევაში მონაწილეობა მიიღო თვით სანიტარულ ექიმ შევარდნაძემ და დაეცა გმირული სიკვდილით. ქართული გენერალური შტაბი, ძუნწი შექებისათვის, ლაკონიურად იტყობინებოდა: «სადახლოსთან არტილერიამ ხმლით გაიკაფა გზა და დაუზარალებლად მივიდა სადგ. სანდორს».

სომხებმა საშინელი სისხლიანი გაკვეთილი მიიღეს. დაშნაკების ბელადი, დრო, სომხურ ჯარების უფროსი, ჩემი ძველი ნაცნობი 1915 წლიდგან ვანში, იმის მაგივრად, რომ ჩემი ბატარეის იარაღები და ჩემი თავი ჩაეგდო ხელში, თვით იდგა ჩემ ჯარის კაცების მიერ აჩეხილ მის თანამემამულეთა გვამების წინაშე...

⁂

კიდევ ქრისტეშობისთვის 19-ს, გარიჟრაჟისას, ექვსი წლის შემდგომ, სხვა უფრო სასწაულებრივი თავგადასავალი, რომლის მოგონება დღესაც მაღელვებს.

1924 წლის მარიამობისთვეს მე [illegible] ბის ხელმძღვანელობა გარე-კახეთში [illegible] ხლის მორევში იქნა ჩახრჩობილი. სამშობლოს გამდგარი სტალინი შურს იძიებდა [illegible] და მშვიდობიანი შრომის მოყვარე საქართველოზე. აჯანყების მეთაურთა [illegible] ცოფიანი ძაღლები მოსისხლე კომუნისტურ პარტიის სანაქებო სამხეცეთიდგან. მათ განსაკუთრებული ჯილდო ჰქონდათ აღთქმული. დიდ ხანს დამსდევდა ერთ-ერთი ამ ტყის ავაზაკებიდგან გამოსული მხეცი მაისურაძე,—მეტ სახელად ტურას რომ ეძახდენ, ისე ჰქონდა სახელი გაკეთებული ადამიანებში. იძულებული გავხდი დამეტოვებია გარე-კახეთი და გადავსულიყავ მშობლიურ ქართლში. გავურბოდი გორის მაზრას, სადაც ოსები და სომხები იყვნენ ყველაფრის ბატონ-პატრონნი. მე თან მახლდა ძველი რევოლიუციონერი და მებრძოლი, უკვე ხანში შესული კაცი 55 წლისა, პროფესიით მუშა, რწმენით სოციალ-დემოკრატი, გულწრფელი პატრიოტი. ჩვენ მას მეტსახელად მოხუცს ვეძახოდით. მოხუცს ეზიზღებოდა კომუნისტები და საბჭოთა ხელისუფლება. ეს ქართველი დიდი ნუგეშის მცემელი იყო ჩემი. არც ოჯახის დაღუპვას, არც მრავალ ნათესავის სიკვდილს ჩეკისტების ხელით, იგი არ დაუშინებია. მას რწმენა ჰქონდა საქართველოსი და საბოლოო გამარჯვების.

ვიმალებოდით თბილისიდგან ახლო მანძილზე მთებში ერთ-ერთ ტყის-მცველთან. მოხუცი არ იყო საკმაოდ ფრთხილი: ხშირად ჩადიოდა ხოლმე მახლობელ სოფელში. ჩეკამ ალბად მისი კვალი აიღო. 1924 წლის ქრისტეშობისთვის 19-ს, ალიონზე, ჩვენს თავშესაფარს ჩეკისტებმა ალყა შემოარტყეს. მოხუცი დაჭერილ იქნა, ხოლო მე მოვასწარ გაქცევა და თავის შველა. ღამის ბინდმა და ადგილ-მდებარეობის ზედმიწევნით ცოდნამ მიხსნა განსაცდელისგან და უნამუსო მაწამებლების ხელში არ ჩამაგდო.

შემდგომ გავიგე, რომ მოხუცს, მიღებულ იქნარა მხედველობაში მისი წარსული რევოლიუციონური ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ, მიუსაჯეს ათი წლით გადასახლება ტურუხონის მხარეში. მე, რასაკვირველია, ჩეკისტები მოწყალედ არ მომექცეოდენ. ჯერ ზაკჩეკას სარდაფებში წამება მელოდა, შემდგომ უეჭველი სიკვდილი სისხლში გასვრილ ნაგანით.

ვთქვა, დარწმუნებული ვარ მეთქი, ცოტაა. მე უეჭველად ვნახავ ჩემი ხალხის ჯალათებს ჩვენს სასამართლოს წინაშე. წამება ალბად ზედმეტი იქნება, მაგრამ, რა თქმა უნდა, მათივე ბოროტების მიერ დაგრეხილ ბაწარს ისინი ვერ ასცდებიან.

ამაში მაჯერებს ჩემი სამი ქრიტეშობისთვის 19.

პოლკ. ივ. ცაგურია.

პავლე თუმანიშვილი

შორს არ არის ის წარსული, როცა საქართველო იბრძოდა ყუმბარებით ხელში. სადღაც, ბნელ ჯურღმულში, მზადდებოდა ეს საშინელი იარაღი. უეცრად, როცა თბილისს დაჰკასკასებდა მხიარული მზე, ან ერთ მხარეს დაეფინებოდა მთაწმინდის ჩრდილი, სკდებოდა ყუმბარა და ბზრიალი გაჰქონდა სახლებს და ჩამტვრეულ ფანჯრებს... ტერორისტულ აქტს მოსდევდა, რა საკვირველია, საშინელი რეპრესიები.

პავლე თუმანიშვილს ყუმბარები არ უტარებია, ტერრორისტებთან არავითარი კავშირი არა ჰქონია. მაგრამ ის მწვავედ ჰგრძნობდა სიღრმეს და მნიშვნე-

გაცია გაგზავნა, რომ სომხური კათედრა სომხისათვის შეენახათ და არამც და არამც ქართველისათვის არ მიეცათ. მათ უთხრეს, მარრი ქართველი არ არისო, მაგრამ სომხებმა უპასუხეს, გვარით არაა ქართველი, თორემ აღზრდით და მიმართულებით პირწავარდნილი ქართველი არისო.

მარრმა გადაწყვეტილება მაშინ მიიღო სომხურ განყოფილებაზე დარჩენისა, როდესაც ტფილისში ჩამოვიდა, მოშინჯა მდგომარეობა, მზრუნველთანაც იყო, ყველაფერი აწონდაწონა და დამეთანხმა. მე ვეუბნებოდი, არა თუ სომხური, ჩინურიც რომ მოგცენ, მაინც იქ დარჩენას გირჩევ მეთქი. წინეთ ეჭვი ჰქონდა, რომ მე განგებ ვუხატავდი უნუგეშო მდგომარეობას, რომ ამით მეიძულებინა უნივერსიტეტში დარჩენილიყო. ეხლა თვით დარწმუნდა, რომ უნივერსიტეტში დარჩენა სჯობია.

მიიღო რა სომხური განყოფილება, მარრი მედგრად შეუდგა სომხური ენის შესწავლას და ერთი ორი წლის შემდეგ არა თუ მწიგნობრულად იცოდა ზედმიწევნით ძველი სომხური ენა და ლიტერატურა, არამედ თავისუფლადაც ლაპარაკობდა ახალ სომხურზე. ერთი სიტყვით ნ. მარრი მრავალი მერყეობის შემდეგ მოეწყო უნივერსიტეტში, ჩადგა თავის კალაპოტში, და ამით ყველა მისი ამხანაგები მოხარული და გულდამშვიდებული ვიყავით. ეხლა მარტო ცოლის შერთვა აკლდა, რომ ოჯახურათაც კარგათ მოწყობილიყო, რასაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს ყველა ადამიანისათვის და ნამეტნავად მეცნიერისათვის. აქ საჭირო არ არის ამ დელიკატურ საგანზე გავაგრძელო სიტყვა, ვიტყვი მხოლოდ, რომ პირველმა ახალგაზდა ქალიშვილმა, რომელიც მას მოსწონებოდა და რომელსაც მისთვის სიტყვა მიეცა, უღალატა, ბოლოს უარი მოსწერა და ერთ ცნობილს პროფესორს გაჰყვა, თუმცა შემდეგ მასაც გაეყარა. ამან ერთხანს ცუდათ იმოქმედა მარრზე, უნუგეშო წერილებს მწერდა ამის შესახებ და ასახელებდა ერთ ახალგაზდა მანდილოსანს, რომელსაც თითქოს ეს საქმე ჩაეშალოს. მაგრამ მარრს ყველაზე უფრო მეცნიერება უყვარდა და ამან ეს პირველი რომანიც იდვილად გადაატანია, შემდეგ მომწერა პროფესორ ჟუკოვსკის დას ვირთავო და შემიძლია დაგარწმუნო, რომ ის ჩემი დიდი მომვლელი იქნებაო. მართლაც და მარრისათვის უკეთესი მეუღლე წარმოუდგენელი იყო, განათლებული, ენერგიული და საუცხოო დიასახლისი, დიდი პრაქტიკოსი ოჯახურ საქმეებში, ეს მანდილოსანი მუდამ იმის ცდაში იყო, რომ თავის ქმრისათვის ხელი შეეწყო მეცნიერულ მუშაობაში. მარრი ყოვლად უპრაქტიკო კაცი იყო, პანსიონში ყველაფერი მზათ ჰქონდა და არაფერი საოჯახო საზრუნავი არ ჰქონებია, როდესაც სახლში დედასთან იყო გურიაში, დედა თავს ევლებოდა. სტუდენტობაში დავით ქუთათელაძესთან ცხოვრობდა ერთ ოთახში და ის ეხმარებოდა. თვითონ თავისთვის არც საჭმელი ახსოვდა, არც სასმელი, არც ჩაცმა დახურვა, ხონში მასზე მთელი ანეგდოტები დადიოდა, ერთი მოგზაურობიდან გამოევლო ხონში და მისულიყო სწორეთ დავით ქუთათელაძის მამასთან, ცნობილ ვასილ მღვდელთან, სულ ისე ჩალეტილი, რომ ყველას გაკვირებოდა. იმერლები ხომ ყველა წვრიმალს შენიშნავენ და ხონელები ნამეტნავად. ასე ეთქვათ, ეს რა პროფესორია, შენი ჭირიმე, წინ მარტი უჩანს და უკან აპრილიო. მისმა მეუღლემ მიამბო, როდესაც ჯვარი დავიწერეთ და სახლში წავედით «ვანკით» (ერთ ცხენიანი ეტლით), მას ჯიბეში ექვსი შაური არ აღმოაჩნდა, რომ ეტლი გაესტუმრებიაო. აი ამისთანა უპრაქტიკო მეცნიერს შეხვდა ასეთი პრაქტიკული მანდილოსანი, რომელმაც იმ რიგათ მოუწყო ცხოვრება, რომ მას საზრუნავი თავის მეცნიერების მეტი არაფერი ჰქონია. მატერიალური მდგომარეობა ნ. მარრისა პირველ ხანებში ერთობ შევიწროებული იყო. სტუდენტობაში მას მარტო სტიპენდია 25 მანეთი ჰქონდა, სხვა არაფერი და ამით ცხოვრობდა რასაკვირველია ღარიბად, უნივერსიტეტში რომ დასტოვეს 50 მანეთი ჰქონდა და როცა შემდეგ პრივატდოცენტი გახდა 100 მანეთი, ამით უნდა ეცხოვრა მთელი 15 წელიწადი ცოლშვილით, შვილი ორი ყავდა, ერთი მოუკვდა რევოლიუციის დროს, მეორე ნიჭიერი იური ეხლა სპარსული ენის მეცნიერია ტფილისში საარქეოლოგიო ინსტიტუტში, მისმა მეუღლემ შეისწავლა ქართული და სომხური და ენერგიულ დახმარებას უწევდა გადაწერაში, კორრექტურის გასწორებაში, ბეჭდვაში და სხვა. თუ ამას დავუმატებთ, რომ თავის უპრაქტიკო ქმარს ის ყოველგან, ყველა მოგზაურობაში თან დაჰყობოდა, ანისში, სვანეთში, აფხაზეთში, სამეგრელოში, სომხეთში, ევროპაში, გერმანიაში, საფრანგეთში, ისპანიაში, აფრიკაში, მცირე აზიაში, ალჟირში და სხვა, და ყოველგან ისე მოაწყობდა მარრს, რომ არავითარი ნაკლი არ ეგრძნო, ადვილათ წარმოიდგენთ, თუ რა დიდი სამსახური გაუწია მადლიანმა მეუღლემ თავის ნიკოს.

საბედნიეროდ ასე კარგად მოეწყო ნ. მარრი მეცნიერებაში სამუშაოდ. მაგრამ ეს არ უშველიდა, რომ სხვა შესაფერი თვისებები არ ჰქონოდა. ის დიდათ დაჯილდოებული იყო ბუნებისაგან, დიდი ნიჭის პატრონი იყო, დიდი მეხსიერების და ინტუიციის მქონე, კვლევა-ძიების უნარი ერთობ დიდი ჰქონდა. ესაა თავი და თავი, მაგრამ ეს დიდი ტალანტი იმ დიდ ნაყოფს ვერ მოიტანდა, რომელიც მან მოგვცა, რომ მას თან დაყოლილი არ ჰქონებოდა გამოუთქმელი შრომის უნარი, წარმოუდგენელი ენერგია და გატაცება თავის საგნისადმი. მარრი დაუღალავი მუშაკი იყო, დასვენება არ იცოდა. ერთხელ მომწერა, დღე და ღამეში 24 საათია, მაგრამ მე არ მყოფნისო, ვერ ვასწრებ, რაც მოსასწრებია, არ ვიცი სად მიდის ეს საათებიო! ის რა თემასაც დაისახავდა გამოსაკვლევად, ეს თემა, მისი იდეა, მას პოეტურად შეიპყრობდა, გაიტაცებდა, ექსტაზში მოიყვანდა და ის მთელი ბუნებით ამ საგნის განხილვაში იყო ჩაფლული. ეს უადვილებდა საქმეს, აჩქარებდა მუშაობას და აღრმავებდა მის გამოკვლევას. მას გაუტაცებლად და ასე ვთქვათ უგულოდ თავის დღეში არაფერი დაუწერია. ასეთივე გავლენა ჰქონდა მასზე ყველა ახალ ადგილებს, ახალ კუთხეებს და ქვეყნებს, სადაც ის არქეოლოგიურის თუ ლინგვისტიურის მიზნით გამოსაკვლევად მიდიოდა. მას ახალი ადგილი უაღრესად შეუყვარდებოდა. თუ გნებავთ, ამაში იყო მისი კვლევის სიძლიერეც და სისუსტეც. ეს აზრი მას გაკვრით გამოთქმული აქვს თავის სვანეთის მოგზაურობაში, მაგრამ უფრო ნათლად ჩემთან პირადათ უამბნია. ჩემისთანა კაცი გინახავსო? მითხრა ერთხელ, «როცა მე ანისში ვარ უკეთესი ადგილი თუა დედამიწაზე არ მგონია, ჰაერიც მომწონს, მდებარეობაც, იქ მუშაობაც, არ მინდა იქიდან წამოვიდეო*), როცა სვანეთში ვარ, მის ბუნებას აღტაცებაში მოვყავარ, ხალხიც მომწონს, მიყვარს, და ასე მგონია ძველ ქრისტეს წინ მცხოვრებ ქალდეველებში ვარ, მათ ზნე ჩვეულებას, მათ წარმართულ სარწმუნოებას სულ ნათლად ვხედავ, მინდა სამუდამოთ იქ დავრჩეო»!

ამ თვისების გამო სულ ხუმრობით არ იყო ნათქვამი, როცა ნიკომ განაცხადა, ჩრდილო აფრიკაში, ალჟირში მივდივარო, პროფესორმა ადონცმა, ყოფილმა მისმა მოწაფემ, უთხრა: აბა ეხლა ქვეყნის ჭიპად ალჟირი იქნება გამოცხადებულიო. პოეტური გრძნობის განცდის შედეგია, მისი სიტყვები, როდესაც ის თავის მოგზაურობის დროს კლარჯეთში გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში აღწერილ შატბერდის მონასტერს ეძებდა და ეხლანდელი პორტად წოდებული ეკლესიის ნანგრევები ძველ შატბერდათ მიიჩნია, მას დაავიწყდა ამიერი სოფელი და თვალცრემლიანმა იგრძნო სიახლოვე ძველი ქართული კულტურული კუთხისა, სალიტერატურო ცენტრისა, თითქო შეუერთდა ძველ მუშაკებს, თითქო გრიგოლ ხანცთელიც მზად იყო მოსულიყო და მოეცა მაძიებელისთვის პასუხი, სად არის შატბერდი?

როგორც თვითონ იყო ენტუზიასტი და გატაცებული მეცნიერული მუშაობით მარრი ისე თავის მსმენელთა და თანამშრომელთაგან მოითხოვდა ასეთ გატაცებას და გადაუხვეველ შრომას. ერთმა ამბავმა, რომელიც მან მიამბო, ბევრი მაცინა. 1912 წელს მისი თანამშრომელი ეხლანდელი პროფესორი იოსებ ორბელი ვანში გაგზავნა ლურსმული წარწერების შესაკრებად და გამოსარკვევად. ზაფხულის ბოლოს ორბელმა გამოუგზავნა მოხსენება, თუ რა გააკეთა, როგორ იმუშავა და სხვა. ბოლოს თავის წერილისა მორიდებით და მორცხვად ასე ამცნო თავის ცოლის შერთვა: «ა კსტატი ია ჟენილსია». «სოვსემ ნე კსტატი», მე მივსწერეო. მე სამეცნიერო მიზნით გაგზავნე და შენ ცოლის შერთვის საქმეში ჩაბმულხარ, ეს ხომ ხელს შეგიშლიდაო!

ჩვენ დავინახეთ, გიმნაზიის უფროს კლასებიდან დაწყებული ნ. მარრს ერთი მიზანი აქვს დასახული, რომ საქართველოს უკეთ გამოადგეს, მერყეობს რა საგნის არჩევაში სპეციალისტობისა, სტოვებს რა პანსიონს და მირბის ზაქარია ჭიჭინაძესთან. რჩება რა მეორე წელიწადს მერვე კლასში, სულ იმ მიზნით რომ საქართველოს უკეთ გამოადგეს, სამშობლოს ემსახუროს, ის სტუდენტობაშიც უნივერსიტეტში რადიკალი პატრიოტია, თუმცა ჩვენს კრებებზე არ დადის, ამისთვის მას არ სცალია, ეს დროს დაკარგვაა, მაგრამ მისივე სიტყვით ის და ერთი მისი ამხანაგი ფიცს სდებდენ, არ დააგდონ იარაღი, მანამ საქართველოს არ გაანთავისუფლებენ. შემდეგ მისივე სიტყვით, ის ამხანაგი ბანკის დირექტორი ხდება, თვითონ კი აკადემიკოსი. ირჩევს რა საბოლაოდ მეცნიერულ მოღვაწეობას, მას მიზნათ აქვს დასახული ქართული ენის გამოკვლევა, მაგრამ პირდაპირ ქართულ კათედრაზე არ ხერხდება დარჩენა, ის იძულებულია სომხური კათედრა აიღოს და აქ პირნათლად, სვინდისიერად ასრულებს მოვალეობას, ხდება დიდი სპეციალისტი სომხური ენისა, გამოსცემს მრავალ ტექსტებს, სომხური ენის გრამატიკას, სომხური ენის და მწერლობის ქრისტომატიას, მრავალ სომხურ წარწერებს, სიტყვების განმარტებას და სხვა, და ამზადებს სამაგისტრო დისერტაციისათვის (1894-1899) ვეებერთელა ორტომიან შრომას ვარდანის იგავ-არაკების კრებულის გამოცემას, მის რუსულ თარგმანს და მეცნიერულ გარჩევას. ამ დარგში მის წინ თითქმის არაფერი არ ყოფილა გაკეთებული. ამ შრომებით და სხვა მრავალით მან თითქო მოიხადა ვალი სომხური ლიტერატურის და ენის შესახებ და მოიხვეჭა სახელი დიდი სპეციალისტისა სომხურ დარგში. აქაც პირველ ხანში ჩვეულებრივი გატაცება გამოიჩინა: სომხურ გავლენას ქართულ კულტურაზე მეტი როლი მიანიჭა და მე მომწერა, შენ შეგხვდება ასეთი ფაქტები და არ დამალოო. მერმე ბევრი ის რაც ნასესხებათ მიაჩნდა სომხურიდან, საერთო იაფეტურად აღიარა.

(დასასრული იქნება)

ექვთიმე თაყაიშვილი.

---

*) ანისი ერთხელ ცნობილი სატახტო ქალაქი სომხეთის პატარა სამფლობელოსი და დიდი სავაჭრო ცენტრი, დღეს ნამდვილ უდაბნოს წარმოადგენს თავის ნანგრევებით. ეს არის ეხლა სამფლობელო გველთა და მორიელთა, ზაფხულში სასტიკად ცხელა, ზამთარში ცივა. უნებლიეთ მაგონდება სიტყვები ერთი ცნობილი ვექილისა, რომელსაც ანისი ენახა: რუსები სულელებია, დამნაშავე სომხებს ციმბირში გზავნიანო, მე მათ ადგილზე ანისში გავგზავნიდი, მათ სატახტო ქალაქშიო. ნ. მარრისათვის სადაც სამეცნიერო სამუშაო იყო, იქ სამოთხე იყო.

ლობას მათი ბრძოლისა.—«არა, ხშირად უთქვამს იმას, ერს აქვს უკვდავი სული, იგი ჰდუღს და გადმოდუღს მის შეგნების სიღრმეში, და აი, ჰქმნის გმირებს, რომლებიც თავგანწირულად ებრძვიან ეროვნული სულის და სხეულის შემხუთველ ძალებს...» ის გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა ამ ბრძოლას, და არ ჰზოგავდა არც ჯანს, არც ფულს, რომ დახმარება გაეწია ამ ბრძოლის თუ რეპრესიების მსხვერპლებისათვის. ბევრი იხსნა ტყვეობიდან, ბევრი—გადასახლებიდან, ბევრსა მისცა საშუალება გახიზნებისა, სანამ ამტყდარი ქარიშხალი მინელდებოდა.

ამისთანა საქმისათვის მას ჰქონდა დიდი უნარი. მისი ხასიათი იყო წყნარი, მისი ქცევა ზრდილობიანი, მისი სიტყვა-პასუხი რბილი და თავაზიანი. პირველ შეხვედრისთანავე ჰგრძნობდი, რომ შენწინ მეტად გულკეთილი და მეტად პატიოსანი ადამიანია. მაშინადვე გელვიძებოდა გულში მისი ნდობა და სიყვარული. ამიტომაც ყოველ წრეში ჰყავდა ბევრი მეგობარი. ქართველი თუ რუსი, სომეხი თუ თათარი, ყველა იმას პატივს სცემდა და ამხანაგურად «პავლუშას» ეძახდა.

როგორც მისი გული, მისი სახლიც იყო ღია. ტკბილი ღიმილით ჰხვდებოდა ხოლმე სტუმრებს დედა-მისი, პატივცემული იულია. იქ ხშირად შეხვდებოდი თბილისის თუ ქუთაისის მარშლებს, ცნობილ მოღვაწეებს, მწერლებს და პოეტებს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პავლე არჩეულ იქმნა თბილისის მაზრის მარშლად, მისი სახლი გაჰხდა ნამდვილი ცენტრი საზოგადოებრივი აზრის დამუშავების და საზოგადო საქმეთათვის იმპულსის მიცემისა. ილია ჭავჭავაძე უკვე აღარ იყო. მისი სიკვდილის შემდეგ დარჩა ცარიელი ადგილი. ჩვენ ყველანი პატარა კაცუნა აღმოვჩნდით და მისი მემკვიდრეობა ვერ ჩავიბარეთ. პავლე ამას ჰგრძნობდა და ჰცდილობდა ამოევსო ცარიელი ადგილი თუ არა ნიჭით, რიცხვით მაინც. მან მოიწვია რამოდენიმე ახალგაზრდა სამუშაოდ და ჩვენც ვშველოდით მას მის მოღვაწეობაში, რამდენადაც შეგვეძლო.

სამუშაო კი ბევრი იყო, მოღვაწეობა მრავალფერი. არ იყო არც ერთი დარგი ჩვენი ცხოვრებისა, არც ერთი კულტურული დაწესებულება, სადაც პავლეს რომ არ მიეღო ახლო მონაწილეობა. ძვირფასი იყო მისთვის წარსულ დიდების ნაშთი, მისი აღწერა და დაცვა, ძვირფასი იყო გონებრივი თუ ეკონომიური ამოძრავება ჩვენი ცხოვრების, გამომცემლობა თუ ჟურნალისტიკა, ძვირფასი იყო თეატრი, მუზიკა და ხელოვნება. პავლე არ იყო ხელმძღვანელი თუ მეთაური, ამის პრეტენზიაც მას სრულებითაცკი არ ჰქონდა, მაგრამ ყველგან შეჰქონდა ცოცხალი სული და ყველგან ჰქმნიდა იმ მხიარულ და მეგობრულ ატმოსფერას, ურომლისოდ ვერც ერთი საზოგადო საქმე წინ ვერ წაიწევს.

რა თქმა უნდა, ამისთანა კაცი ვერ აცდებოდა პოლიტიკურ მუშაობას. იგი ერთი დამაარსებელთაგანია ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა. არჩეულ იქმნა პარტიის პირველი ბიუროს წევრად; მისი ხარჯით გამოიცა ბევრი პარტიული ორგანო და ბროშურები; მის დახმარებით მოვაგროვეთ ბევრი ხელის მომწერნი «ქართველი ერის პეტიციაზე», რომელიც შეტანილ იქმნა 1907 წელს ჰააგის საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციაში, და სხვა.

მეტი არ იქნება აქ გავიხსენოთ, რომ პირველი მუხლი ჩვენი პარტიული პროგრამისა მაშინ იყო ავტონომიის მოთხოვნა საქართველოსათვის. ჩვენ ამ საკითხში კვალდაკვალ მივსდევდით პოლონეთის «კოლოს» და ფინლიანდიის მაგალითს. ამ აზროვნებამ დააჩნია კვალი ჩვენს პრაქტიკულ მუშაობასაც. როცა ლაპარაკი დაიწყეს კახეთის რკინის გზაზე, ჩვენ გადავწყვიტეთ არამც და არამც არ დაგვეთმო ეს კონცესსია უცხო კაპიტალისტებისათვის. პავლემ, დიდი მუშაობის შემდეგ, მიაღწია კიდეც მიზანს. კონცესსია დამტკიცებულ იქმნა თბილისის თავადაზნაურობის სახელზე. უკვე ჩვენ გვეხატებოდა მომავალი მნიშვნელობა ამ რკინის გზისა, არა მარტო ეკონომიური, არამედ სტრატეგიულიც. შეიქნა ორი ბანაკი, ერთი იცავდა ჭალაუბნის მიმართულებას, მეორე—სიღნაღისას. სამწუხაროდ აქ ჩვენ ჩვენი აზრი ვერ გავატარეთ და გზა გაყვანილ იქნა ჭალაუბანზე. შემდეგ ამბებმა დაამტკიცა, რამდენად ჩვენ მართალი ვიყავით. სწორედ სიღნაღის მიმართულებით გაირღვა პირველად საქართველოს ფრონტი, როცა რუსეთის ლაშქარი თავზე დაგვესხა. ვინ იცის, შეიძლება ეს უბედურება აგვცდენოდა, რკინის გზა სიღნაღზე რომ ყოფილიყო გაყვანილი.

არა ნაკლებ დამახასიათებელია პავლეს მოღვაწეობისათვის სპარსეთის კონცესსია. ამ საქმის ინიციატორი იყო აკ. ხოშტარია, ხოლო ნამდვილი სულის ჩამდგმელი იყო პავლე თუმანიშვილი. ის და მისი ამხანაგები ამ საქმეს უყურებდნენ, როგორც ახალ ასპარეზს ქართული ენერგიის გასაშლელად. მეფის მოადგილეც, ვორონცოვ-დაშკოვი, ამ საქმეს შეხვდა თანაგრძნობით, რა თქმა უნდა, სულ სხვა მოსაზრებით. როცა პავლე წარუდგა მას და ჰთხოვა დახმარება,

— სიამოვნებით! უპასუხა ვორონცოვ-დაშკოვმა. აი ეს მომწონს! წადით და გილიანში ან მაზანდარანში დაარსეთ თქვენი ავტონომია! ამისთანა ავტონომიას მე მხარს დავუჭერო».

ეს იყო პასუხი იმ მოძრაობაზე, რომელიც ატეხა მაშინ ჩვენმა პარტიამ პრესსაში და საზოგადოებაში. საქართველოს ავტონომია შეიძლებოდა, მხოლოდ საქართველოს გარედ, სხვის ტერიტორიაზე! ვორონცოვ-დაშკოვმა მართლა აღმოგვიჩინა დახმარება სპარსეთში, ჩვენი კონცესსია გაიზარდა და დიდ იმედებს იძლეოდა, მაგრამ იფეთქა რევოლიუციამ და მან ააფეთქა ჩვენი კონცესსიაც და... რუსეთის იმპერიაც.

რუსეთის ნანგრევებიდან ამობრწყინდა მარადიული სახე ქართველი ერის. პავლე ბედნიერი იყო. ეს ბედნიერებაც მალე ჩაჰქრა. უკანა ევროპა და წინა აზია, რუსეთი და ოსმალეთი, საშინელი ტალღასავით, «შეირყა და შეჰკრა პირი»... და თან ჩაიტანა ჩვენი ნორჩი თავისუფლება. პავლე ამ დროს იტალიაში იყო, წამოსული იტალიის საფინანსო წრეებთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად. კიდევ ემსახურებოდა სამშობლოს, ჰფიქრობდა გადაება იგი ევროპასთან ქონებათა საერთაშორისო ტრიალში... ეს ოცნებაც ჩაიფუშა... მოჰწყდა საყვარელ სამშობლოს. ის უკან ვერ დაჰბრუნდებოდა. მალე მოუკვდა დედა, დაუხვრიტეს ძმა, ჩამოართვეს ქონება, გაანიავეს მისი მდიდარი ბიბლიოთეკა... ასე დაინგრა და ამოვარდა ეს კეთილშობილი ოჯახი.

5 იანვარს თვითონ პავლემ სამუდამოდ დაჰხუჭა თვალი პოლონეთის ერთ პროვინციალურ ქალაქში—სუვალკაში. დარწმუნებული ვარ, სიკვდილის წამს კიდევ ესმოდა უკანასკნელი ბგერა გაწყვეტილი სიმის...

მშვიდობით, ძვირფასო ძმაო და დაუვიწყარო ამხანაგო!

გიორგი გვაზავა.

საქართველო უწინარეს ყოვლისა

ისტორიისათვის არარაობას წარმოადგენს 15-20 წელი. მაგრამ საქართველოს და ქართველ ხალხს მძიმე დაღი დაასო ამ უკანასკნელმა 15 წელმა.

უამრავი გაკვეთილები მოგვცა ამ წლეებმა; საჭიროა ამ გაკვეთილების დამახსოვრება და გამოყენება. ყველა დარწმუნდა მაში, რომ უქვეყნოთ ბრძოლა და პოლიტიკა არარაობაა. მაშ ჯერ საქართველო და შემდეგ პოლიტიკა, ჯერ ქვეყნის თავისუფლება და შემდეგ მისი მოწყობა.

დღეს ამ აზრს ადგია მთელი მსოფლიო. ეს უნდა იყოს ჩვენთვისაც. საუკუნოებით დატოვებულ ქვეყანას დაუბრუნდენ ებრაელები. ჰტოვებენ (ზოგი იძულებით, ზოგი ნებით) ევროპის აყვავებულ ქალაქებს და ეშურებიან პალესტინისაკენ, იწყებენ თავიდგან მის დაბრუნებას, რაც დაჰკარგეს და დატოვეს საუკუნოებით.

დღეს ყველგან საკითხი სდგას: ბრძოლა არსებობისათვის, ბრძოლა თავის ქვეყნისათვის, ბრძოლა თავის ერისათვის. ამას კარგათ გვიჩვენებს ევროპის უკანასკნელი საქციელი.

ერთა ლიგაში შედის წევრად მხოლოდ თავისუფალი ქვეყანა.

თუ გუშინ მთელი ევროპის ქვეყნები მგლის თვალით უყურებდენ და ბრძოლას უქადდენ საბჭოთა რუსეთს, დღეს ის თავიანთ ოჯახში მოიწვიეს და პირველ მეგობრათ დაისვეს. ყოველივე პოლიტიკა კლასთა ბრძოლისა დაივიწყა რუსეთმა, რადგან ხედავს, რომ ეს ესაჭიროება მას.

მაშინ როცა ლიტვინოვი, ინგლისის მეფის სადღეგრძელოს სვამს და მოსკოვის დიდ თეატრში საბჭოთა მუსიკა ინგლისის ნაციონალურ ჰიმნს ასრულებს,—

ამ დროს ჩვენ ერთ მეორეს უნდა ვედავებოდეთ და ვეკინკლავებოდეთ?!

არა! ქართველ ერს არას დროს არ დაუკარგავს წონასწორობა, გასაჭირის დროს ჰნახულობდა და ჰნახავს საერთო ენას. არავითარი ქართველი, საქართველოს არ ანაცვალებს პოლიტიკას, არამედ პირიქით პოლიტიკას გამოიყენებს საქართველოსათვის.

დღეს ჩვენი ერთათ დარაზმა აუცილებელია. დგება დრო ჩვენი მოქმედებისა ყველა ქართველის ერთათ ყოფნისა. ერთის სულით, ერთის ძალით, როგორც ერთი მთლიანი ფრონტი უნდა ვიბრძოლოთ ჩვენ საქართველოსათვის.

მხოლოთ ჩვენის მთლიანობით შეგვიძლია ვიხსნათ ჯაჭვ-დაყრილი საქართველო.

შ. შავლაყაძე.

საით მიდის ქართველი ერი?

ქართველ ტომთა ეროვნული სახე მარტოდ მარტო დარჩენილი, როგორც გმირული შტო ძველთა ძველი, დღეს დედამიწიდგან ალგვილ, რასის თუ ხალხების განთქმულია მსოფლიოში ყველაზე უფრო ლამაზ ეპიურ ისტორიით.

ამ ცხოვრებას შემომქმედნი ჰყავდენ. მათი ძალის საიდუმლოება ჩვენს, თანამედროვე ქართველთთა, ძარღვებშია გადმოსული.

ძლიერი მზე მუდამ უხვად ანათებდა ქართულ მიწა-წყალზე. საქართველოს ჰყოლია ყოველნაირ შემოქმედებითი ძალით აღჭურვილი ხალხი: მეომარი, მუშა, წინამძღოლი, ბერი და სხვა. მათ შეუქმნიათ დიდებით განსხვოსნებული ეპოქები და დაუცავთ ეროვნული ღირსება.

როდესაც ფიზიკური ღონე უსუსტდებოდა, ყოველთვის მოვლენია გრძნობა აზღვავებული მგოსნები, იმედის სულს რომ ჰბერავდენ ერში.

ასეთია ის ათიოდე ბგერა, რომლის გამოთქმა უზენაეს ძალით არის ნაკურთხი.

ყველაფერი ეს ზოგადი ხაზით, რომელიც საკმარისია, რათა ქართველ ადამიანს იმედი ძვალ-რბილში გაუჯდეს, მაგრამ არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მან იმოქმედოს და ერს სინამდვილეში ემსახუროს, ვინაიდგან ერი თაობათა დაუსრულებელი ჯაჭვია.

რა ამოცანა სდგას იმ ქართველთა წინაშე, რომელთაც ბედისწერამ არგუნა ქართულ ისტორიის ყველაზედ უფრო მძიმე ეპოქაში იმოქმედოს?

საკმაოა ჯერ თვით ეპოქის სიმძიმე შევიგნოთ, მივუხდეთ იმ საშიშროებას, რომელიც მოელის ჩვენს მშობელ ერს, რომ ამოცანა ნახევრად აიხსნას.

დაწვრილებით გამომჟღავნება კომუნისტურ ექსპერიმენტის მთელ მავნებლობისა და რეალურ რეგრესიულობის, როგორც ეროვნულ, ისე მასთან გადაბმულ სოციალურ, ეკონომიურ და მორალურ თვალსაზრისით, არ არის ძნელი. მაგრამ დღეს ამ წერილის საგანი უფრო მარტივია.

არც ერთი ერისათვის არა ყოფილა მისაღები და სასარგებლო—თავისი ბედი რომელიმე უცხო ან მიწიერ და გარდამავალ ძალას გადააბას,—მით უფრო, გაბედული კრიმინალური პრინციპი გაჰხადოს თავის სამოქმედო იარაღად. ერთხელ მოსული და წარმავალი უბედურება შედარებით ადვილი ასატანია. განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს მხოლოდ დროში გადადებული კატასტროფის შეუმჩნევლობა. ცხოვრებაშიაც და ისტორიაში ამას წინდაუხედველობას ეძახიან. ქართველი ერი არამც თუ მარტო ბოროტების გამარჯვებით იწამება, არამედ მტრის კიდევ უფრო მძიმე მუხანათურ გეგმის წინ სდგას, თუ მისივე გონიერებამ იგი არ იხსნა. ამ გონიერებას წინამძღვრობს კი ერთი უბრალო პრინციპი, რომლის უყურადღებობას ყოველთვის მიჰყავდა და მიჰყავს ერი დაცემისაკენ, რა მრუდითაც არ უნდა ხდებოდეს ეს. ეროვნულ პროგრესის შეულახველი პრინციპია: დამოუკიდებლობა და ნამდვილი თავისუფლება. ქართველი ერიც დღეს მხოლოდ ამისათვის იბრძვის.

შიგნით შებორკილი, გარედ სახე დაკარგული, რა სამოსელშიაც არ უნდა გაეხვიოს, ერი სუსტია ბრძოლისათვის, რომელიც ყოველთვის უდარაჯებს მას, თუ კი ეროვნული სიფხიზლე კულმინაციურ წერტილზე არ აიყვანა და თვის განმათავისუფლებელ ბრძოლის სათავეში თვით არ ჩადგა საკუთარი ბრძანებით.

როდესაც უფლებრივ-სახელმწიფოებრივი ფორმა არ არსებობს, საეროვნო ბრძანების კილოს ინაწილებენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, რომელთა განსაზღვრა გულისხმობს საერთო ეროვნულ ფარგლებში ზოგიერთ პრობლემებზე მომზადებულ პასუხს. მთავარია ის ფარგლები, რომლის შიგნით სდგება პარტია. ყველაფერი დანარჩენი მეორე ხარისხოვანი საკითხია, თუ, რასაკვირველია, პარტია თავის სიმაღლეზე სდგას და ცოტად თუ ბევრად ველურ ბანაკად არ არის გადაქცეული.

ქართველი ხალხი «ძიებაში» არ იმყოფება. იგი აწარმოებს სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლას. მოპოება ფიზიკურად უშიშარი და სულიერად ამაღლებული ცხოვრების, მტკიცე და ურყევ საფუძვლის ჩაყრა ეროვნულ სიმაგრისათვის, რომელიც განსაცდელით სავსე მიწაზე მუდამ ერთად-ერთი თავშესაფარი იქნება მომავალ თაობების,—აი რა არის მისი დამთავრებელი იდეალი.

მხოლოდ სადღეისოდ ის კმაყოფილდება ერთი მწველი ამოცანით: გასწყვიტოს ჯაჭვი და თავისუფლად ისუნთქოს. დანარჩენს თვითონ შექმნის იქ, სადაც მისი შემცვლელი არავინაა, თვით ზეციდგან ჩამოსული ღმერთებიც კი. ნუ ელაპარაკებით ნურავითარ სამოთხეზე, ნურავითარ ოცნებაზე. დღეს მას მისთვის არა სცალია და მხოლოდ წყლულს ულღვივებს უსარგებლოდ. ნურც უკარნახებთ მედიდური ჭკუით, დღეს საქმეა საჭირო და არა «ქსელის მბეჭველობა». გამაგრდით გონებით, გაკაჟდით გულით—ქართველ ერს უფლება აქვს მოსთხოვოს თავის შვილთ ეს ხასიათი, რომელიც მას უტარებია საუკუნეთა მანძილზე. შეურყვნელი გული, შორსმჭვრეტელი გონება, ნამდვილ ხერხიანი მოქმედება და არა გულუბრყვილო ნდობა ეშმაკის კაცთმოყვარეობაზე,—აი საშუალებანი ახალი აღორძინების, რომელიც ამდენი ხანია სწყურია ქართულ ცის ქვეშ აღზრდილ ადამიანებს.

გარკვეულად უნდა გვესმოდეს არამც თუ მარტო გზა და საშუალებანი საქართველოს განთავისუფლების, არამედ თვით შინაარსიც იმ სიტყვების, რომელსაც გამუდმებით ვიმეორებთ. თორემ, პარტიული პროგრამა ვერ გასცილდება პოლიტიკურ პლატფორმას და საპლატფორმო სიტყვებით ვერავინ გამოადგება ქართველ ერს მაშინ, როდესაც მთელი ერის ძახილია: თავისუფლება.

არ არის გასაკვირი, თუ ზოგიერთის შეგნება ამ ძახილს ვერ აღიქმს. ცხადია, რომ ყველა თავისუფლებისათვის იბრძვის, მაგრამ ერის თავისუფლება ერთია და სხვა დანარჩენი—მეორე. წმინდა, ინტეგრალური (სიტყვა არა ვინმე ემიგრანტის გამოგონილი) პატრიოტიზმი ეს არის.

როგორც სუვერენობა-წართმეულ ერს ეკადრება თავისი ფორმალური სახე, ისე თავისუფლების—ძირ ამოცლილი ერის ცხოვრებაც თანდათან ჰქრება, თუ არ დავუშვებთ მედგარ წინააღმდეგობას, რომელიც ყოველთვის ხდება—ამგვარ ოპერაციის მიმართ.

თავისუფლება განვითარების აუცილებელი პირობაა. ადამიანი, რამდენადაც იგი მოწოდებულია ეს განვითარება მიიღოს, ამას გრძნობს გონების დაუხმარებლადაც. ერისათვის, რომლის არსებობა განვითარებასთან არის დაკავშირებული და მხოლოდ მასში და მასთან ერთად იჩენს თავს, ბუნებრივია, რომ თავისუფლება არასოდეს არ არის ცარიელი სიტყვა. ერი ახორციელებს იმ იდეალებს, რომლის სინამდვილედ გადაქცევას ერთი თაობის სიცოცხლე არ ჰყოფნის. იქ, სადაც თავისუფლება მტკიცე განვითარებით ნათლდება, იგი არასოდეს ხდება ანარქიისა და ქაოსის დასაბამი; პირიქით იგი აკავშირებს ყველას და ერთად ერთი წყაროა და მასულდგმულებელი მის მიერ ერთ ბედნიერ წამს შექმნილ განვითარების.

სახალხო სიბრძნე-გამოცდილება და საღი ჭკუა საკმარისია იმისათვის, რომ ეს ელემენტარული ჭეშმარიტება შეგნებულ იქნეს.

ასე რომ არ ყოფილიყო. არსად არავითარი ცივილიზაცია არ შეიქმნებოდა.

რასაკვირველია, არსებობს სხვა საკითხებიც: ეკონომიური, წმინდა პოლიტიკური, იურიდიული და სხვადასხვა, რომელთა თეორეტიული ინტერესი ძალიან დიდია, მაგრამ დოქტრინალური კი არარა. ერის განვითარება თვით ავსებს ყველა საკითხებს, თუ კი მთავარი ძარღვი მოცემულია.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოუსაზრებელი მოქმედება იყოს საჭირო. პირიქით. იქ სადაც გაზომვა არ არსებობს, არც ზომა არის და ყოველი უკიდურესობა კი შემოქმედებას ეწინააღმდეგება. აზრი მოქმედების სამსახურში თუ იმყოფება. მხოლოდ მაშინ არის, რომ სიტყვასაც აზრის ფასი აქვს. ხოლო მდიდარ აზრს უმოქმედობა არ ჰქმნის; მისი შემქმნელია დიდი კულტურა. კულტურისათვის კი ადამიანი უნდა განიწმინდოს მრავალ იმ ყალბ შეხედულებიდგან, რომელიც ჰბადებს ავ თუ კარგ სისტემის—თაყვანისმცემლობას. სისტემები და დოქტრინები იცვლებიან, ადამიანი კი იგივე რჩება, თუ მან თავისი ხასიათი კულტურის სხივებში არ განბანა, თუ მან არ შეიგნო, რომ იგი ბუნებით განსაზღვრული არსებაა განსაზღვრულ ამოცანების შესასრულებლად მოწოდებული. ქართველი ხალხი, სანამ ამ ნამდვილ კულტურის გზას ეროვნულად დაადგებოდეს, მოითხოვს ერთნაირ თავგანწირვას ყველასაგან, რა სიმაღლისა და რა ზომის ადამიანიც არ უნდა იყოს ის. მით უფრო მათთვის, ვინც, ასე ვსთქვათ, კულტურით ცოდვილები არიან, დაჰკრა ჟამმა გმირობის ქარ-ცეცხლში ეზიარონ მაღალ ზნეობას...

დღეს, როდესაც ყველაზედ უფრო საჭიროა ქართველობას ერთად დადგეს ერთი საქმის სამსახურში, ის საკითხები, რომელსაც აბსოლიუტურად არავითარი მნიშვნელობა აქვს მთავარი ამოცანის გადასაწყვეტად, არ უნდა გახდეს გამთიშავი და ძალთა დამქსაქსველი. მარტოხელა ბედნიერებით ვერავინ მოსცხოს მალამო ქვეყანას. ქართველ ერს პროფესიონალი მოქადაგე დღეს არა სჭირია. მას სჭირია ჯარი მოღვაწეთა და თავდადებულთა. ერს მხოლოდ ფეხზე ადგომა ჰსურს, მით უფრო მეტი გამტანლობაა საჭირო ქართულ საქმეებში.

ისიც კი, ვისაც ერთობის ძალა ასე თუ ისე არასოდეს ჰქონია დიდ პატივისცემაში, მაშინ, როდესაც უდიდეს ბრძოლის მომენტი უნდა დადგეს, ვერ გაექცევა ერთობას, რომ ქართულ საქმისათვის დაღვრილ სისხლის ერთი ზედმეტი წვეთის პასუხისმგებლობა ქართველს არ დააწვეს. ქართველი ერი არც ისე მრავალ-რიცხოვანია, რომ ეს პრინციპი მხედველობიდგან გაუშვას და არც ბარბაროსი, რომ მშვიდობიანობის მნიშვნელობა არ იცოდეს იქ, სადაც ეს მშვიდობიანობა შესაძლებელია და აუცილებელი პირობაც განვითარების.

ასეთია ის «პროგრამა», რომელსაც თხზავს ქართველი ერი თავისი ცხოვრების უუმძიმეს პერიოდში. ყველაფერი დანარჩენი კი ლიტერატურაა.

გ. ნარი.

პატარა ფელეტონი

ბ-ნი ბამატი და ქ-ნი თეში.

გუშინ-წინ, სრულებით შემთხვევით, მე გავხდი მოწმე ერთი საინტერესო მოვლენისა.

საღამო იყო. ეიფელის კოშკი ედავებოდა ვარსკვლავებს და პარიზის ქუჩა ჰბგერდა დაუცხრომელი სიცოცხლის ძალით. უცებ დავინახე ბ-ნი ბამატი, ქუდი შუბლზე ჩამოეფხატა, შეშინებულად მიიხედმოიხედა და მოულოდნელად ჰდურთა ერთი სახლის ღია კარებში. ამ სახლში ჰცხოვრობს ცნობილი მარჩიელი, ქ-ნი თეში. ვთქვი, რაღაც არის მეთქი, და მეც უკან შევყევი. ცოტა ხნის შემდეგ აი რა ვნახე:

ქ-ნი თეში იჯდა სავარძელში. მხარზე ეჯდა თვალდაჭყეტილი ბუ. მაგიდაზე ეყარა სათამაშო ქაღალდი, ორი კამათელი, თავის ქალა და... არ მახსოვს კიდევ რა. ბამატი მიუჯდა მაგიდას და დაუწყო ლაპარაკი.

ბამატი. სიზმარი ვნახე... მეტად მაწუხებს... არა მძინავს... არ ვიცი, რას მოასწავებს.

თეში. აბა, მიამბეთ. მე ყურს გიგდებთ.

ბამატი. სიზმარში ვნახე იმამი ნაჩ-ბუდდინი, რომელიც ჰცხოვრობდა მე 17 საუკუნეში. მე თითქო ვიყავი რაზმის უფროსი. ის იყო, რაზმი დავტოვე ჭიშკართან, გავიარე ვრცელი ეზო, ჩამოვხტენ ცხენიდან, მივაშურე სასახლეს და წარუდექ წინ ცნობილ იმამს.

— რა ამბავი? მკითხა მან.

— აი ეს არის, დავბრუნდი კახეთიდან! მოვახსენე მე: დავარბიეთ ალაზანის აქეთა მხარე, გავიტაცეთ საქონელი, კაცები დავხოცეთ, ქალები წამოვასხით... ლამაზებია!

— ყოჩაღ! ყოჩაღ! მითხრა იმამმა. რამდენი დაღესტანელია ან მთიელი შენს რაზმში?

— არც ერთი! ვუპასუხე მე.

— მაშ ვისგან შესდგება შენი რაზმი?

— მარტო ქართველებისგან! მშვენიერი ხალხია! ცხენზე ჯდომა იციან, ხმლისა ტრიალიც. იციან ყველა გზა და ბილიკი, იციან, ვის სად დავესხათ და როგორ დავესხათ! მათი დახმარებით კახეთის კი არა, მთელი საქართველოს აკლებაც ადვილია.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! მითხრა კიდევ ნაჩ-ბუდდინმა. შენისთანა ვაჟ კაცს ჯილდო უნდა, დიდი ჯილდო... ჰო, მართლა, შენთვის მე ორდენი მაქვს, კარგი ორდენი.

ნაჩ ბუდდინი მიჰბრუნდა, აიღო ერთი ოქროს ჯინჯილებიანი ორდენი და... აქ მოჰხდა რაღაც საკვირველება: იმამის თავიდან გაჰქრა მისი ჩალმა, გამოჩნდა ჭალარა თავი, ჭალარა წვერი... ვუყურებ, რასა ვხედავ?! ჩემ წინ იდგა ნოე ჟორდანია! მე განცვიფრებისაგან დავაჭყიტე თვალები, მაგრამ ნაჩ-ბუდდინ-ჟორდანიამ არც მაცივა, არც მაცხელა, დამავლო ხელი, მომაბრუნა უცებ, და ის ჯინჯილებიანი ორდენი გულზე კი არა—უკან მომაკრა. ორდენი მომხდა ცივად, ისე ცივად, ისე ცივად, რომ გამომეღვიძა კიდეც.

ეს იყო. გეხვეწებით ამიხსენით სულ ეს. რას ჰნიშნავს, რას უნდა მოველოდე?

ქ-ნი თეში ჩაჰფიქრდა, გადაჰშალა ქაღალდი, მერე აურია, კიდევ გადაჰშალა, გადაჰხედა ბუს, და ბოლოს უთხრა:

— შენ ორდენს მართლა მიიღებ!.. ან ჩრდილოეთიდან, ან სამხრეთიდან!.. მაგრამ ცივად რომ მგხვედრია—აი ეს არის ჩამაფიქრებელი. ეს ალბად ცხელი პანდურის ნიშანიაო!

წკიპურტი.

კავკასიის კონფერენცია

კავკასიის კონფერენციის პრეზიდიუმისაგან:

ამ დღეებში დასრულდა კონფერენცია კავკასიის იმ ნაციონალურ ორგანიზაციებისა, რომელთაც ხელი მოაწერეს კავკასიის კონფედერაციის პაქტს 14 ივლის 1934 წ.

კონფერენცია იყო მოწვეული კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის თაოსნობით, რომელმაც ანგარიშის ჩაბარებასთან ერთად ჩააბარა თავისი რწმუნებულება.

კონფერენციამ განიხილა რა საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენებანი, ერთხმად მიიღო მთელი რიგი პრინციპიალური რეზოლუციებისა პოლიტიკური, ტაქტიკური და ორგანიზაციული ხასიათის.

კონფერენციის მუშაობა დასრულდა კავკასიის კონფედერაციის საბჭოს არჩევით, რომლის კონპეტენციაა, თანახმად მიღებული დადგენილებისა, უხელმძღვანელოს კავკასიის ერთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მთელ ბრძოლას, რომელნიც გაერთიანდენ თავიანთი რესპუბლიკათა დაკარგული თავისუფლების აღსადგენად და მათ შესაერთებლად კონფედერაციის საფუძველზე.

კავ. კონ. საბჭო აღჭურვილია სრული უფლებით გამოვიდეს მოკავშირე რესპუბლიკათა სახელით ყველა იმ საკითხებზე, რაიცა ეხება კავკასიას და იმოქმედოს როგორც საერთო ხელმძღვანელი ორგანო.

Administration: 1, Spuare Léon-Guillot.
Paris (XVe)

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise.*
Le Gerant: G. MALLET.